# სარბიელი

სპორტული გაზეთი — სამშაბათი 13 იანვარი 2004 №4 (2023) — ფასი 50 თეთრი




## საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბიძინა გეგიძეს დაუპირისპირდა

### რაგბის მხარდამჭერთა ლიგა მხარს უჭერს მერაბ ანთაძეს

26 იანვარს საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნებია



## გავეჯიბროთ და შევედაროთ ჩვენნაირებს

### დღეს დილით დინამო მოსკოვში გაფრინდა




ივო შუშაკი რუსულ ხელოვნურობაში სარგებელს ეძებს

## თბილისური ასორტი ნემსაძისთვის

ეროვნული ნაკრების კაპიტანი კვლავაც უგუნდოდაა — გიორგი ნემსაძე თბილისშია და უცხოეთიდან ელის შემოთავაზებებს. თუმცა, საქმე გაჯანჯლდა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ სეზონის მეორე ეტაპი ნემსაძემ საზღვარგარეთ ითამაშოს.

მოკლედ, ევროპაში თუ რუსეთში წასვლის შანსი ჩვენს კაპიტანს ერთობ შეუმცირდა. ნემსაძე ახლა „დინამოში“ ვარჯიშობს და შესაძლოა, „დინამოშიც“ ჩაირიცხოს, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ გიორგი გუნდს მოსკოვში არ გაჰყვება თანამეგობრობის თასზე სათამაშოდ.

ისიცაა, რომ ნემსაძით კიდევ ერთი ქართული გუნდი დაინტერესდა — თუ ნემსაძე საქართველოში დარჩება, ან „დინამოში“ ითამაშებს ან „თბილისში“ — ასეთია მისი კარიერის სავარაუდო პერსპექტივა.



## ამისულაშვილი არაქართულად იქცევა

### ალეკო უძლებს იმ კიევურ კომმარს, რომელმაც კინაღამ რუმინელი ფეხბურთელი შეიწირა

## დავიდსი ექვსთვიანია

### ლაპორტამ ბარსელონას ძალა და აგრესია უქირავა

6 თვეში 1,2 მილიონი ევრო? თანახმა ვარ, თქვა გუშინწინ ედგარ დავიდსმა, გუშინ კი ბარსელონაში ჩავიდა, სასტუმრო „არტში“ დაბინავდა, ხოლო მოგვიანებით „ბარსას“ პრეზიდენტი ხუან ლაპორტა კონტრაქტით ხელდამშვენებული ეწვია...

...ედგარ დავიდსი 30 ივნისამდე ბარსელონელია.

ტურინის „იუვენტუსისა“ და კატალონიური კლუბის შეთანხმებით, ჰოლანდიელი ნახევარმცველი „ბარსაში“ ჯერჯერობით სწორედ იჯარით ითამაშებს, მერე კი, მერე ყველაფერს დრო გამოაჩენს.




REUTERS

# ამისულაშვილის კონტრაქტი ერთ ნაბიჯზეა

## ჩერნატი წაიქცა, ალეკო უძლებს

*ერთი კვირაა, თბილისის „დინამოს" მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი კიევურ „დინამოშია" გასინჯვაზე და საქმეს ისეთი პირი უჩანს, იქვე დარჩება. ჩვენიანს კიეველებმა უკვე სახელობითი მაისურაც მოარგეს და მაშინ, როცა გასასინჯად მიწვეული ყველა ფეხბურთელი „დინამოს" მოსკოვში ესენგეს ტურნირზე მიჰყავს, ალეკო ხუთშაბათს ძირითად გუნდთან ერთად ორკვირიან გერმანულ შეკრებაზე მიემგზავრება.*

*გერმანიამდე გუნდმა უკვე მოილია ლობანოვსკის სახელობის მინი-ტურნირი კიევში, ორიოდ დღის წინ კი საქვეყნოდ ცნობილი „კომმარული" დატვირთვებიც დაიწყო, რამაც ერთი ფეხბურთელი უკვე შეიწირა... თუმც ალეკო ჯერჯერობით ჯანზეა, არც მწვრთნელ მიხაილიჩენკოს „როზგებს" უფრთხის და მომავალზეც თავდაჯერებული საუბრობს*

— კიევში 5 იანვარს ჩამოვედი და ძირითად გუნდთან ერთად იმ დღესვე ვივარჯიშე. გუნდი, პირობები, აქ ყველაფერი ჩინებულია — გვითხრა გუშინ ალეკო ამისულაშვილმა — კიევში ზაფხულშიც ვიყავი რამდენიმე დღით, მაგრამ მაშინ ტრანსფერი არ შედგა. თბილისის „დინამო" ჩემპიონთა ლიგისთვის ემზადებოდა და იმ ეტაპზე უკრაინელებთან მოლაპარაკება არ ისურვა. ახლა ვითარება შეიცვალა. როცა კიევის „დინამოდან" იოჟეფ საბო დამიკავშირდა და ხელმეორედ მიმიწვია, თბილისელებს ჩემი დაკავება არც უცდიათ. მეც დაუყოვნებლივ წამოვედი კიევში...

**— და როგორ ფიქრობ, კარგა ხნით დარჩები?**

— ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის. ვატყობ, რომ ხელმძღვანელობა ჩემი მომზადების დონით კმაყოფილია. კიევში გასასინჯად კი მიმიწვიეს, მაგრამ ახლა უკვე ძირითად გუნდთან ერთად გერმანიაში მივდივარ. „დინამოში" გასასინჯად მყოფი სხვა ფეხბურთელები კი დუბლშემადგენლობასთან ერთად მოსკოვის ტურნირზე მიჰყავთ.



**— ვთქვათ, რომ ძირითადი შემადგენლობისთვის გამზადებენ?**

— არ ვიცი, ამაზე ლაპარაკი, მგონი, ჯერ ადრეა. გერმანიაში ხუთშაბათს მივემგზავრებით, ორ კვირაში ჩამოვალთ და პასუხს მერე გეტყვით.

**— უფროსობასთან კონტრაქტის პირობებზე ჯერ არ გისაუბრია?**

— ჯერ არა, მაგრამ დაახლოებით კი ვიცი, კიეველების წინადადება როგორი იქნება, რაზეც დავთანხმდები კიდეც.

**— კიეველებთან ერთად უკვე თამაშმაც მოგიწია. ჩვეულად, მარცხენა მცველის პოზიციაზე იყავი?**

— ეგ მინი-ფეხბურთი იყო, ლობანოვსკის ხსოვნის ტურნირი. თავდამსხმელადაც ვითამაშე, ნახევარმცველადაც, მინი-ფეხბურთში ხომ გამოკვეთილი პოზიცია არც ერთ ფეხბურთელს აქვს. თუმც, რა თქმა უნდა, მწვრთნელის მითითებით უმეტესად უკნიდან ვთამაშობდი.

**— კიევურ დატვირთვებთან შეგუება არ გიჭირს?**

— გაჭირვებით არა, მაგრამ კი დავრწმუნდი, რომ აქ აქცენტი მთლიანად ფიზიკურ მომზადებაზე კეთდება. ტურნირის დამთავრების შემდეგ ორჯერადი ვარჯიშები დაიწყო და ბურთს ჯერ არ გავკარებივართ. დიდ დატვირთვებს რუმინელი ჩერნატიც კი შეეწირა, რომელიც უკვე ორი წელია, კიევის „დინამოშია". მან დატვირთვას ვერ გაუძლო, კროსისას გულწასული დაეცა და მოსასულიერებელი შეიქნა. მეორე დღეს ის დაასვენეს, თუმც ახლა ისევ ჩვენთანაა. მე ჯერჯერობით ვუძლებ აქაურ დატვირთვებს, მერე ვნახოთ.

**— შესაძლოა, გერმანიაში დატვირთვები გაიზარდოს?**

— ვერ გეტყვით, თუმც არაფრის მეშინია, ჯანი მაქვს, უკრაინელებს არ უნდა ჩამოვრჩე.

**— მიხაილიჩენკოს პირისპირ არ შეხვედრიხარ?**

— მას არა, საბოს შევხვდი და ვესაუბრე, რის შემდეგაც უფრო იმედიანად ვარ, ყველაფერი კარგადაა, კონტრაქტამდე ცოტა დაგრჩა.

**კობა ინასარიძე**

*სანდრო იაშვილი, ვინც გოლებს უხვად ჰყრიდა საქართველოს 17 თუ 19 წლამდელთა ნაკრებებში, ახლა ამ ხელობით თბილისის „დინამოში" ინონებს თავს. 18 წლის იაშვილი დღესდღეობით ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი იმედია.*

*სანდროს გუშინ ვესაუბრეთ და ლაპარაკი [illegible] ამბებით დავიწყეთ.*

— თბილისთან შედარებით თელავში კარგი პირობები არ არის ფეხბურთის სათამაშოდ, მაგრამ როცა ბავშვთა ლიგა შეიქმნა, თელავში 1985 წელს დაბადებულთა გუნდი გაკეთდა და მეც იქ მოვხვდი — მაშინ 14 წლის ვიყავი და თავის გამოჩენის კარგი შანსიც მომეცა. შემდეგ თბილისურ „ირაოში" გადავედი. ფეხბურთის თამაში კი, როგორც ალბათ ყველამ, ეზოში დავიწყე. თავიდანვე შეტევა, წინ წასვლა მიყვარდა, სულ ფორვარდი ვიყავი.

**— თავით რომ კარგად თამაშობ, ეგაც ბავშვობიდან მოგდგამს?**

— ეგრეა, თავით თამაში თანდაყოლილი მაქვს, ამისკენ ბავშვობიდანვე მქონდა მიდრეკილება. თუმც ამ კომპონენტის დახვეწაზე ახლაც ვმუშაობ ისე, როგორც ზოგადად წინსვლაზე.

**— „ირაოს" შემდეგ იყო 17-წლამდელთა ნაკრები და „ვიტ ჯორჯია" — თავით ნაკრებშიც გაგქონდა გოლები...**

— კი, მაგრამ უფრო მეტი გოლი ფეხით გავიტანე — მე მხოლოდ თავით გამტანი ფორვარდი სულაც არ ვარ.

**— „ვიტ ჯორჯიადან" ჯანი კარნევალიმ „რომაშიც" კი წაგიყვანა გასინჯვაზე...**

— „რომაში" კარგად წარმოვაჩინე თავი და იქაურთა მოწონებაც დავიმსახურე. იქ ორი კვირა დავყავი, გოლებიც გავიტანე, მაგრამ ასაკობრივი ცენზის და ლეგიონერთა ლიმიტის გამო „რომაში" ვერ დავრჩი.

**— შენით კიევის „არსენალიც" იყო დაინტერესებული, მაგრამ „ვიტ ჯორჯიადან" „დინამოში" აღმოჩნდი...**

— კიევიდან დაბრუნებულს იქ ჩასვლა კიდევ შემომთავაზეს, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, რომ „დინამოში" გადავიდოდი. თუმც გარკვეული პრობლემები „დინამოშიც" შეიქმნა — ზოგს არ სჯეროდა, რომ ძირითადში თამაშს შევძლებდი — როცა ამ სეზონისთვის „დინამო" შეკრებაზე მიდიოდა, წინა დღეს გადაწყდა, რომ მე გუნდთან ერთად წავიდოდი.

**— კონკურენციის დაძლევა ალბათ განსაკუთრებული ფაქტორი იყო 18 წლის ფეხბურთელისთვის.**



სანდრო იაშვილი (№20) საჯარიმოში სახიფათო კაცია

# ახალი მაგარი გოლი მინდა

— კონკურენციამ ძალა შემმატა — თუ გინდა, რომ ითამაშო, სხვას უნდა აჯობო. როცა ადამიანი ძალიან მოინდომებს, რაღაც აუცილებლად გამოუვა. საერთოდ, სჯობს, სხვამ ჩათვალოს თავი შენს კონკურენტად და არა პირიქით. ისე კი, თავდახრილად ვშრომობ და მჯერა საკუთარი თავის.

**— ქართულ საფეხბურთო სამყაროში სანდრო იაშვილზე ახლა ბევრს ლაპარაკობენ — როგორ იმოქმედებს ეს შენზე?**

— ამ საკითხზე ჩემებური აზრი მაქვს — ყურადღებას არ ვაქცევ, ჩემზე ვინ რას ლაპარაკობს — თუ ისევე ძლიერად არ გააგრძელებ თამაშს, მერე შენზე აღარავინ ილაპარაკებს, ყველაფერი ეს საკუთარ თავზე ერთხელ უკვე გამოვცადე „ვიტ ჯორჯიაში". თუმც ჩემზე ბევრი რომ ლაპარაკობს, ეს მსიამოვნებს.

**— რას უნდა ველოდოთ უახლოეს ხანს სანდრო იაშვილისგან?**

— ვიტყვი, რომ ბევრი შემიძლია, თუმც ეს დასამტკიცებელი მაქვს.

**— შენს ყველაზე ლამაზ გოლად რომელს მიიჩნევ?**

— გერმანიას თავით რომ გავუტანე (17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი 2002 წელს, გერმანია 1:1 საქართველო — რედ.), მაგრამ ახლა კიდევ ერთი, ახალი მაგარი გოლი მინდა.

**— მობილური ტელეფონი რატომ არ გაქვს?**

— უბრალოდ, არ მიყვარს მობილური ტელეფონი — რამდენჯერაც ვიყიდე, იმდენჯერ გავაჩუქე.

**— და რა გიყვარს?**

— მანქანა და მისი სწრაფად ტარება.

**დავით თავართქილაძე**

# რა დინამო, რის დინამო?!

## ნოზაძე და მერლანი ვიტ ჯორჯიაში რჩებიან

**ხმა გავარდა,** თბილისის „დინამო" თანაქალაქელი „ვიტ ჯორჯიას" ორი ფეხბურთელით — მეკარე მირზა მერლანით და კაპიტან ლაშა ნოზაძით დაინტერესდაო. ეს ცნობა თავიდანვე საეჭვო ჩანდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, მაღალი მიზნებისთვის მებრძოლ ვეტერინარებს მთავარი კონკურენტისთვის საუკეთესო ფეხბურთელები დაეთმოთ, თუმც გუშინ *ლაშა ნოზაძეს* მაინც დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ:

— ლაპარაკი არის, მაგრამ გადაწყვეტილი არაფერია. თან „დინამოში" გადასვლა მხოლოდ ჩემზე არაა დამოკიდებული. მთავარი სიტყვა კლუბებს ეთქმით.

**— „ვიტ ჯორჯიასთან" კონტრაქტი როდემდე გაკავშირებს?**

— კონტრაქტს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. თუ კლუბები შეთანხმდებიან, მაშინ ტრანსფერს წინ არაფერი დაუდგება. მეტის თქმა ახლა არ შემიძლია.

ამის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტ *გურამ რუხაძის* აზრმაც დაგვაინტერესა:

— არანაირ ტრანსფერზე ლაპარაკი არ არის. კატეგორიულად უარვყოფ ნოზაძისა და მერლანის „დინამოში" გადასვლას. ორივე ჩვენთანაა, გუნდთან ერთად ვარჯიშობს და საგაზფხულო ეტაპისთვის ემზადება. ასე რომ, შეგიძლიათ, ეს საკითხი ამოწურულად ჩათვალოთ.

ერთი სიტყვით, „ვიტ ჯორჯიასა" და „დინამოს" შორის ეს ტრანსფერები არ შედგება. ამასობაში კი ვეტერინარებმა უკვე სამი ახალი ფეხბურთელის გადაბირებაც მოასწრეს — რუსთაველი გრიგოლ ბედიაშვილი, დინამოელი ირაკლი ებანოიძე და ბათუმელი ირაკლი შენგელია საგაზაფხულო ეტაპზე „ვიტ ჯორჯიას" მაისურით ითამაშებენ. მათ გარდა, ზურაბ ბერიძის გუნდში სამი ფარმკლუბელიც გადაიყვანეს: აკაკი კუპრეიშვილი, ირაკლი მალიჩავა და ლევან კვარაცხელია.

„ვიტ ჯორჯია" 5-22 თებერვალს ანთალიაში წავა შეკრებაზე, მანამდე კი თბილისში ივარჯიშებს.

**ბახა შალამბერიძე**

### იტალია

სერია C/B. XVIII ტური

კიეტი 0:2 ფოჯა

### პორტუგალია

სუპერლიგა. XVII ტური

ბეირა მარი 1:1 ჟილ ვისენტე

### ოთხთა ტურნირი

ჰერთა 1:2 ანდერლეხტი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XX ტური

ანჟერი 1:2 ამიენი

### ეფეს პილზენის თასი

ტრაბზონი 2:2(პენ.6:7) პსვ ეინდჰოვენი

გალათასარაი 2:0 კაიზერსლაუტერნი

# გენერალური გენერლების სარბიელის წინ

როდესაც დღევანდელი ნომერი თქვენს ხელში მოხვდება, „დინამო“ უკვე რუსეთის დედაქალაქში იქნება. დინამოელები დილით აიღებენ გეზს მოსკოვისკენ და სასტუმრო „კოსმოსში“ დაბინავდებიან. გუშინ კი საქართველოს ჩემპიონმა საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის“ ბაზაზე ივარჯიშა. „ოლიმპის“ ხელოვნურსაფარიანი მოედანი დაახლოებით ისეთია, როგორზეც დინამოელებს მოსკოვში მოუწევთ თამაში.

საკმაოდ ინტენსიური ვარჯიში 11 საათზე დაიწყო. ტრადიციული ერთშეხებიანი კვადრატის შემდეგ ფეხბურთელები ფლანგებზე განლაგდნენ და ჯერ გრძელი, დაბალი, მერე კი განივი მაღალი პასებით ამარაგეს ერთმანეთი.

ამის შემდეგ ივო შუშკმა „ფიშკებით“ მოედანი მონიშნა და ფეხბურთელებს სწრაფი დრიბლინგის, ბურთის გათამაშებისა და პასის შემდეგ საჯარიმოს მისადგომიდან დარტყმა მოსთხოვა. ფეხბურთელები მაქსიმალურად დაიტვირთნენ, შემდეგ თავი მოედნის ცენტრში მოიყარეს, დაისვენეს, წყურვილი მოიკლეს და უმალ ახალი დავალება მიიღეს. ბურთის გათამაშებას ფლანგზე სწრაფი პასი მოსდევდა, ამას ფლანგური ჩაწოდება და ფორვარდების დამაგვირგვინებელი დარტყმები.

ვარჯიში ასმეტრიანმა სპრინტმა და გაწელვებმა დაასრულა.

დინამოელები მალე გაუშინაურდნენ ხელოვნურ საფარს, უმეტესობას უმალ მოეხსნა უჩვევობის შეგრძნება და აკი თქვეს კიდეც, რომ „ეს პრობლემა არ არის“ და მოსკოვში საქართველოს სათანადოდ წარმოაჩენენ. ცსკა-ს მანეჟში კი მეოთხე თაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებული საფარი დაუხვდებათ.

**დავით ერაძე**

# შუშაკის აზრი მიხაილიჩენკოსას არ ჰგავს

*თანამეგობრობის თასზე გამგზავრების წინ „დინამომ“ დილმის საწვრთნელ ბაზაზე მასმედიას უხმო და* ***ივო შუშაკთან*** *შეხვედრის საშუალება მისცა. მოგვიანებით, საღამოს ცხრა საათიდან კი გუნდი დილმის ბაზაზე შეიკრიბა და გამთენიისას აეროპორტისკენ გასწია. ამის შემდეგ ცნობებს „დინამოს“ შესახებ მხოლოდ მოსკოვიდან უნდა ველოდოთ, ვინაიდან გამგზავრებულ ფეხბურთელებს 16 იანვრიდან მმართველი და ტექნიკური დირექტორები — დავით პეტრიაშვილი და კახა ჭუმბურიძეც შეუერთდებიან.*

*პრესკონფერენციამ შუშაკისთვის დამახასიათებელი გულახდილობითა და ოპტიმისტურ ნოტაზე ჩაიარა, ამაში თავადაც დარწმუნდებით...*



...დიდი ხანია, არ შევხვედრივართ და მსურს, მოგილოცოთ განვლილი დღესასწაულები, ჯანმრთელობა და მშვიდობა გისურვოთ. მე გუნდს ოფიციალური ვარჯიშების დაწყებიდან მეორე დღეს შევუერთდი. გამახარა იმ სამუშაო ატმოსფერომ, რაც დამხვდა, ჩემით დაწყებული, ფეხბურთელებით დამთავრებული, ყველა გრძნობს იმ ვალდებულებებს, რაც კლუბისადმი გვაკისრია. ჩვენ შარშან საქართველოში მიღწეული წარმატების შენარჩუნება უნდა მოვახერხოთ.

...რაც შეეხება სნგ-ს ტურნირს, მას ჩვენ სერიოზულად ვეკიდებით, რაც იქიდანაც ჩანს, რომ მოსკოვში გათვალისწინებულზე ადრე ჩავდივართ, რათა ხელოვნურ საფართან ადაპტაცია მოვახერხოთ. ამისთვის დღეს ბიჭები „ოლიმპის“ საფეხბურთო სკოლის ხელოვნურ საფარზეც ვავარჯიშეთ. ჩემი აზრით, საკმაოდ სასარგებლო ტურნირია, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გავეჯიბროთ და შევედაროთ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ჩემპიონებს, საუკეთესო გუნდებს, ვნახოთ განსხვავება და შევიძინოთ გამოცდილება.

...მოსკოვში 21 ფეხბურთელით მივემგზავრებით. საბედნიეროდ, ყველანი ჯანმრთელად არიან. სავიზო პრობლემების გამო გუნდს მოგვიანებით შემოუერთდება ჩიტაია. ის 16 იანვარს კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად ჩამოვა. დიდი მადლობა გორის „დილას“ ხელმძღვანელებს, რომლებმაც ნება დაგვრთეს, უშუალოდ შეკრებების პერიოდში დავკვირვებოდით ჩიტაიას და მხოლოდ ამის შემდეგ გვესაუბრა კონტრაქტზე.

...განსაკუთრებულ ინფორმაციებს მეტოქეებზე არ ვფლობ, თუმცა ვფიქრობ, რომ ნებისმიერი ქვეყნის გუნდი პატივსაცემია და მას ჯეროვნად შეფასება ესაჭიროება. რიგის „სკონტო“ კი სულაც შარშანდელი გათამაშების ფინალისტია. ფაქტია, ჩვენ ნებისმიერ მეტოქესთან მოტივაციით გავალთ და მხოლოდ მოგებაზე ვიფიქრებთ. „დინამო“ სნგ-ს თასზე საკუთარი ფეხბურთელების რეკლამირებისთვის არ მიდის.

...ვიცი, რომ არსებობს მოსაზრება სნგ-ს თასის აქტუალურობაზე, ვინაიდან კიევის „დინამო“ უძლიერესი შემადგენლობით არ მიემგზავრება. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ ეს მეტად სასარგებლო ტურნირია. ფეხბურთელები ვარჯიშის გარდა თამაშებში დიდ გამოცდილებას მიიღებენ. ეს პირველ რიგში მათ განვითარებას წაადგება. ერთადერთ ნაკლად რასაც მივიჩნევ, მოედნის ხელოვნური საფარია. თავად ტურნირი დიდი ექსპერიმენტების საშუალებასაც გვაძლევს და სერიოზულ სარგებლობას მოგვიტანს. ტურნირში მონაწილეობის თაობაზე მე საკუთარი აზრი მაქვს.

...მოსკოვში უამრავი სელექციონერი იქნება. ასეთი ტურნირები, როგორც წესი, ერთგვარი საფეხბურთო ბაზარიცაა და ალბათ ჩვენი ფეხბურთელებიც უფრო მდიდარი კლუბების ინტერესის არეში მოხვდებიან.

...ჩვენი სურვილია, ნემსაძის დონის ფეხბურთელი „დინამოს“ მაისურით თამაშობდეს. მასთან ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ძალიან მოხარული ვიქნები, თუ ნაკრების კაპიტნით გავძლიერდებით. ნემსაძესთან მოლაპარაკება უკვე დამთავრებულიც რომ ყოფილიყო, მას მოსკოვში მაინც არ წავიყვანდი, ვინაიდან ხელოვნურ საფარზე ტრავმების ალბათობა გაცილებით დიდია. ჩვენი მოსკოვიდან დაბრუნებამდე მოლაპარაკება წარმატებით თუ დასრულდა, მაშინ ნემსაძეს კვიპროსში აუცილებლად ვიახლებთ.

...სირაძის თაობაზეც მიდის მოლაპარაკება, მისი გადმობირება ჩემი უდიდესი სურვილია. აშვეთიასა და ასათიანის შეძენა ვერ მოვახერხეთ და ეგებ მესამე და სამართლის პრინციპით სირაძეზე მაინც გაგვიმართლოს.

...ხმალაძის და კაშიას დამატებით ჩემს პრინციპებს და ტრადიციებს არ ვღალატობ. შარშან იაშვილი შევიძინეთ. მან „დინამოსთან“ ერთად გაიარა მოსამზადებელი ეტაპი, მაგრამ ძირითადში ადგილი უმალ არ დაუმკვიდრებია. ამას დრო დასჭირდა, თუმც იგი საოცრად დროულად გამოვიყენეთ და „დინამოში“ კონკურენცია გავზარდეთ. ამ ორი ფეხბურთელითაც იგივეს ვგეგმავთ. ორივე მათგანს დიდი პოტენცია გააჩნია. სისტემატურად ვაკვირდებოდით მეც და ბატონი გივი ნოდიაც. ორივე ერთ დასკვნამდე მივედით — ისინი „დინამოს“ გამოადგებიან.

...მოსკოვში სამი მეკარით მივემგზავრებით და თავის გამოჩენის საშუალებას სამივეს მივცემთ. მამალაძეს ჯგუფურ ტურნირში მაინც ექნება შანსი.

...ამისულაშვილის წასვლა „დინამოსთვის“ მართლაც დიდი დანაკლისია, მაგრამ მის შემცვლელს აუცილებლად მოვიძევთ. ამას ჩვენივე კადრებით გავაკეთებთ. ამ ტრანსფერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სწორ გზაზე ვდგავართ. „დინამოს“ ევროპული დონის კლუბისთვის ფეხბურთელის გაზრდა რომ შეუძლია, ეს მის პოტენციალზე მეტყველებს, რაც სტიმული იქნება დანარჩენი ფეხბურთელებისთვისაც.

შუშაკის მოსაზრებათა ერთობლიობა ძირითადად ასე გამოიყურება, თუმცა ხორვატმა ისიც გვითხრა, რომ სნგ-ს ტურნირის თავისებურებიდან გამომდინარე, ნურც „დინამოს“ ჩემპიონობას გაიკვირვებთო. მანამდე კი, 17 იანვარს ყირგიზულ „ჟასტიკთან“ მატჩით „დინამო“ სამწლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდება.

**დავით ერაძე**



# სულიკო ტორპედოსთვის იბრძოლებს

**საქართველოს** ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე სულიკო დავითაშვილი „თბილისიდან“ დაითხოვეს, თუმც საქმეს ისეთი პირი უჩანს, დავითაშვილი ახალ გუნდში მალე გადავა.

თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ქუთაისის „ტორპედოს“ „სიონიდან“ წამოსული ოთარ გაბელია გაწვრთნის და 26 წლის დავითაშვილსაც თან იხმობს — ტორპედოელებს თავდასხმაში ხომ განსაკუთრებულად უჭირთ. ახლობლებისთვის „აბრეზად“ წოდებული დავითაშვილის შესაძლო გატორპედოელება თავად ფეხბურთელმაც დაგვიდასტურა.

**დავით თავართქილაძე**

# რკინიგზული ფრონტი უცვლელია
## პრეზიდენტი ჩხაიძე, მწვრთნელი ცაკარიასი...

**ზამთრის** არდადეგების შემდეგ გუშინ პირველად შეიკრიბა და ივარჯიშა თბილისის „ლოკომოტივმა“. რკინიგზელთა გუნდს ამ დროისთვის გოჩა თამაზაშვილი და თემურ ჩხაიძე წვრთნიან. ლოკომოტიველთა შორის არ იყვნენ რევაზ ქემოკლიძე, ირაკლი ვაშაკიძე, გიორგი მანწკავა, გიორგი მიქაძე, ლაშა რეხვიაშვილი და ლევან ხომერიკი — ისინი იჯარით თამაშობდნენ „ლოკომოტივში“ და მათი საკითხი გაურკვეველია. რაც შეეხება ლაშა სალუქვაძეს, ის უკრაინულ „ვოლინშია“, ხოლო დავით სირაძემ, ვის გადაბირებასაც თბილისის „დინამო“ ცდილობს, გუშინ „ლოკომოტივში“ ივარჯიშა.

გაურკვეველია თვით კლუბის საკითხიც — „ლოკომოტივის“ პრეზიდენტად კვლავაც აკაკი ჩხაიძე რჩება და, რა როგორ იქნება, ჯერ უცნობია. გუნდის მთავარი მწვრთნელი ლუის ცაკარიასი კი თბილისში რამდენიმე დღეში ჩამოვა.

**დავით თავართქილაძე**

# კოლხეთი მწვანე ველი, მწვანეს ველი

**ფოთის „კოლხეთს“** სამეორეეტაპო სამზადისის დაწყება დაუგვიანდა. ზღვისპირელებს კლუბის მესვეურებთან ჯერაც ბევრი რამ აქვთ გასარკვევი. უმთავრესი, რაღა თქმა უნდა, ბიუჯეტია. უამისოდ პორტზე და პორტის თავკაც კლუბის პრეზიდენტ ჯემალ ინაიშვილზე დამოკიდებული კოლხები ვერაფრით შეძლებენ სასურველი ფეხბურთელების გადაბირებას.

ჯემალ ინაიშვილს მწვრთნელ-ფეხბურთელები ხვალ შეხვდებიან და ალბათ ბევრი რამ გაირკვევა, თუმც ისიც სათქმელია, რომ ინაიშვილის ძალისხმევით გუნდის ძველი დავალიანება გასტუმრებულია.

„კოლხეთი“ 15 იანვრიდან შეუდგება მზადებას. გუნდი 12 დღით ბაკურიანში გაემგზავრება. იქაურ პანსიონატ „მწვანე ველში“ ადგილები უკვე დაჯავშნულია.

ზღვისპირელებს ბაკურიანში ალბათ გაბედავა და წივწივაძეც გაჰყვებიან. გაბედავა ბოლოს „მერცხალში“ თამაშობდა, წივწივაძემ კი პირველი ეტაპის დიდი ნაწილი „სიონის“ სათადარიგოთა სკამზე გაატარა. ამ ორ ფეხბურთელს „კოლხეთში“ გადასვლის დიდი სურვილი აქვს, თუმც საამისოდ ბევრი რამ ინაიშვილთან ხვალინდელ შეხვედრაზეა დამოკიდებული — ფეხბურთელებს თავიანთი პირობები აქვთ და პრეზიდენტის პასუხს ელიან. ხვალვე, სავარაუდოდ, „კოლხეთიდან“ წამსვლელთა ვინაობაც გაირკვევა.

**პაატა ქვანტალიანი**


## სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები) დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით

ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...
სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...
საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91 53-76-82 899 56-18-49

*საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრები 27-30 იანვარს სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ითამაშებს. ჩვენებს მასპინძლების გარდა რუსეთის და აზერბაიჯანის ნაკრებები ერგოთ. 25 იანვარს ქართველი მინიფეხბურთელები თბილისი-ვენა-ბელგრადის მარშრუტით გაემგზავრებიან, მანამდე კი შეკრებას მოიწყობენ. ტურნირის თაობაზე ვესაუბრეთ საქართველოს მინი-ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს და ნაკრების მთავარი მწვრთნელ აკა ქავთარაძეს*

# მინი-ფეხბურთი მინი-ფულით ძნელია

— როგორ დაკომპლექტდა საქართველოს მინი-ფეხბურთის ნაკრები?

— ხუთი ფეხბურთელი „იბერია 2003“-იდან მოვიწვიეთ, ეს გუნდი ეროვნული ჩემპიონატის ლიდერია. სამი მოთამაშით იქნება წარმოდგენილი თსუ. გარდა ამისა, გვეყოლებიან ლეგიონერებიც — ძმები ზოიძეები, ალთუნაშვილი და კუპატაძე.

— ბესო ზოიძესთან დაკავშირებით პრეტენზიას რუსებიც აცხადებენ. როგორ მოგვარდა ეს პრობლემა?

— ზოიძის საკითხი ბოლომდე ჯერაც არ გადაწყვეტილა. მართალია, რუსულ მხარეს ის განაცხადში არა ჰყავს შეყვანილი, მაგრამ ჩვენ მათი კონკურენტები ვართ და ზოიძის გამოშვებაზე ხელოვნურად გვიქმნიან პრობლემებს. ჩვენ შესაბამისი წერილით ფიფასაც მივმართეთ და დღე-დღეზე ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას ველოდებით. ვესაუბრე ლოვჩევსაც და ისიც დამთანხმდა ზოიძის გამოშვებას.

— რას გეგმავთ ამ ტურნირზე?

— ძნელი სათქმელია. 27 იანვარს სერბეთს ვეთამაშებით, 28-ში რუსეთს. 29 იანვარს დავისვენებთ და 30-ში აზერბაიჯანის ნაკრებთან თამაშით ვასრულებთ ჯგუფურ ეტაპს. საკმაოდ რთული ჯგუფია, პირველი მატჩი მასპინძლებთან, ალბათ, ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. თუ ყველა ლეგიონერს მოვუყრით თავს, უბრძოლველად არაფერს დავთმობთ.

— ვინ არის ნაკრების სპონსორი, რომელი ფირმის ეკიპირებით იასპარეზებთ?

— არც სპონსორი გვყავს და ფორმებს რაც შეეხება, ფედერაციისგან ვითხოვთ ძველ ეკიპირებას, რომელსაც თბილისში ჩამოსვლისას უკან დავაბრუნებთ.

**დავით ერაძე**

# გაწუქოთ ბორისფენს წიტა



კობა წიტაიშვილი (№25) ფეხის მოკიდებას უკრაინაში ცდილობს

კობა წიტაიშვილისთვის რამდენიმეთვიანი უქმობა დასრულდა. 25 წლის ქართველი თავდამსხმელი ახლა უკრაინულ „ბორისფენში“ ვარჯიშობს. შეგახსენებთ, რომ წიტაიშვილი შარშან რუსულ „ჩერნომორეცში“ ჩაირიცხა, თუმც ძირითად შემადგენლობაში ფეხის მოკიდება ვერ შეძლო. ნოვოროსიისკელები ჩვენებურს ოდენ სარეზერვო გუნდში ათამაშებდნენ, პირველი წრის დასრულებისთანავე კი მასთან განშორება გადაწყვიტეს. მას შემდეგ წიტაიშვილი უგუნდოდ იყო, ინდივიდუალურად ვარჯიშობდა და ახალ თავშესაფარს ეძებდა.

თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი ახლა „ბორისფენს“ უმტკიცებს საკუთარ შესაძლებლობებს. გუშინწინ მან კიევის „დინამო 2“-თან ამხანაგურ მატჩშიც ითამაშა შეცვლაზე. დედაქალაქელებმა მეტოქე 1:0 დაამარცხეს.

შეგახსენებთ, „ბორისფენამდე“ წიტაიშვილს ზუგდიდის „ოდიშში“, თბილისის „შევარდენში“, თბილისის „დინამოში“, თსუ-ში და ფოთის „კოლხეთში“ უთამაშია. „ბორისფენი“ კი მისთვის მეხუთე უცხოური კლუბია ებრაული „ჰაპოელის“, „ცაფრირიმის“, „ბნეი იეჰუდასა“ და რუსული „ჩერნომორეცის“ შემდეგ.

**ბახა შალამბერიძე**

# ვაჟა ზაზაევიჩი ოსურად
## გვაზავამ თურქეთში დაგაზა



ლევან გვაზავამ მოლდოვურ „ზიმბრუში“ უეფას თასზე თამაშს ოსური „ალანია“ არჩია

ვაჟა ზაზაევიჩისა არ იყოს, ეტყობა, ვლადიკავკაზელებმაც იფიქრეს, ორი სათაური რა საჭიროაო და თავიანთი ორსიტყვიანი სახელი — „სპარტაკ-ალანია“ შეკვეცეს. ამიერიდან ვლადიკავკაზურ კლუბს „ალანია“ ერქმევა. თუმც ეს ალბათ უფრო წარსულის ნათელი წლების ნოსტალგიაა — 1995 წელს რუსეთის ჩემპიონი ხომ სწორედ „ალანია“ გახდა...

ჩვენთვის კი ერთი ხანობა მეტად საინტერესო, ბოლოს კი უინტერესო ოსური კლუბი ისევ ქართველი ფეხბურთელების გადაბირებით იქცევს ყურადღებას. ვლადიკავკაზელებმა უქართველო „ალანია“ ვერ წარმოიდგინეს და რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ კვლავ დაადგეს თვალი ჩვენებურ მობურთალს, ამჯერად მოლდოვური „ზიმბრუს“ ნახევარმცველ ლევან გვაზავას. 23 წლის გვაზავა ახლა თურქულ ბელეკში შეკრებაზე მყოფ „ალანიასთან“ ერთად ემზადება და ალბათ მალე კონტრაქტსაც გააფორმებს ახალ კლუბთან. ყოველ შემთხვევაში, ოსები კმაყოფილნი არიან ქართველი ფეხბურთელით და ამას არც მალავენ.

გუშინწინ „ალანიამ“ ახალწვეულებით გაძლიერებული სარეზერვო შემადგენლობით ამხანაგური მატჩი გამართა ელისტის „ურალანთან“. მწვრთნელმა ბახვა თედეევმა ჟურნალისტების მიერ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეული გვაზავა 73-ე წუთზე შეცვალა. მატჩი ოსებმა 3:4 წააგეს. „ალანიას“ თურქეთში თედეევი იმიტომ თავკაცობს, რომ ფრანგი ლორან კურბისი გუნდს შეკრების დასრულების მერე შეუერთდება.

ზემოთ „ურალანი“ ვახსენეთ და, ბარემ ვასილ გოგიაძეზეც ვთქვათ. ქართველმა თავდამსხმელმა საბოლოოდ გადაწყვიტა ელისტაში დარჩენა. „ალანიასთან“ ამხანაგურ მატჩში კი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და 71-ე წუთზე გოლიც გაიტანა.

**ბახა შალამბერიძე**

*ახალი წლის წინ, 5-29 დეკემბერს საფეხბურთო კლუბ „მაუდის“ თაოსნობით ჩატარდა საშობაო ტურნირი, რომელშიც რეგიონალური ლიგის შვიდი გუნდი მონაწილეობდა — სოხუმის „ცხუმი“, „ურიონი“, „ურიონი 2“, „ბერი“, „თბილისი“, გარდაბნის „სამგორი“ და „ნორჩი დინამოელი“.*

*წრიულად გათამაშების მერე საუკეთესო ოთხეულმა ნახევარფინალი და ფინალი გაითამაშა. ტურნირის მთავარი მსაჯი — გამოცდილი თამაზ ლაცაბიძე გახლდათ.*

*მონაწილეები კმაყოფილნი დარჩნენ ამ თაოსნობით და აპირებენ, ტურნირი ტრადიციული გახადონ. მათი აზრით, რეგიონული ლიგის ჩემპიონატი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს საკმაო სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეთ. გუნდების წარმომადგენლები სფფ-ს თხოვნით მიმართავენ, იქნებ რეგიონულ ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზარდოს და ამით მცირე შეღავათიც მოგვეცემაო.*

*ტურნირის გამარჯვებული სოხუმის „ცხუმი“ გახდა. მეორე ადგილზე თბილისის „ბერი“ გავიდა, მესამეზე — „სამგორი“.*

# რაც კარგია, კარგია!
## თბილი მაუდი და ცხუმის სევდა



გურამ ცაგარეიშვილის ფოტო

*ნუგზარ ბოჯგუა, სოხუმის „ცხუმის“ მთავარი მწვრთნელი* მხოლოდ ამ ტურნირში გამარჯვებით როდია საინტერესო სპეციალისტი. აფხაზეთიდან დევნილი გუნდი დღემდე სისტემატურად მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონატებში. ნუგზარ ბოჯგუას პირველად ამ ტურნირზე დავეკითხეთ და მერე სხვა, მტკივნეულ თემებსაც შევეხეთ:

— ორგანიზატორებისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის. რეგიონული ლიგის პირველი წრე ნოემბერში დავამთავრეთ და მარტამდე უსაქმოდ უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ამ ტურნირში მონაწილეობით ბევრი რამ მოვიგეთ. ჩემთვის ჩემპიონობას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა. მთავარია, ბიჭებმა ფეხბურთი ითამაშეს. ჩვენთვის ესეც საქმეა.

— „ცხუმი“ სხვა მხრივაც საინტერესო გუნდია. როგორ არსებობთ დღემდე, ვინ გეხმარებათ?

— ბიუჯეტზე ვართ. დევნილი მთავრობა ცოტას გვეხმარება. მართალია, ეს მცირეა, მაგრამ რა ვქნათ, მეტის საშუალება არ გვაქვს.

— გამოდის, ენთუზიაზმზე მუშაობთ...

— ფეხბურთელებს ხელფასს არ ვუხდით. ასეთი ფუფუნება ჩვენთვის ვერავინ გაიმეტა. ის პირობები რომ გვქონდეს, რაც ადრე იყო... უბრალოდ, შეიძლება ითქვას, რომ „ცხუმი“ არსებობს და ეგ არის.

— გუნდში მხოლოდ ლტოლვილები გყავთ?

— გაგრელები, ოჩამჩირელები, სოხუმელები... ყველა ერთნი არ ვართ?!

— საშინაო მატჩებს სად თამაშობთ?

— „მაუდის“ სტადიონზე. ეს ხალხი ყველანაირად მხარში გვიდგას. ჩვენც მადლობელნი ვართ. ეს არის ჩვენი საქმე — 16-20 წლის ბიჭები ქუჩაში რომ არ არიან, ესეც კარგია. ითამაშონ ფეხბურთი, ამაში შეძლებისდაგვარად ხელს ვუწყობთ.

— აფხაზეთში დაბრუნებამდე ძველი „ცხუმი“ თუ დაუბრუნდება ქართულ ფეხბურთს?

— არა მგონია. არ შეიძლება იმ გუნდზე ლაპარაკი, რომელსაც ფული და ელემენტარული პირობა არ აქვს. ჩვენ ახლა მოყვარულები ვართ, ვთამაშობთ ფეხბურთს და მორჩა. სხვა დიდი მიზნის დასახვა არ შეგვიძლია. ბიჭებს ოდნავ უკეთესი ვარიანტი რომ გამოუჩნდებათ, ვუშვებთ. აბა, ხელი როგორ შევუშალო? ჩვენგან რომ ფეხბურთელი პირველ ან უმაღლეს ლიგებში მიდის და ამაში შევეწინააღმდეგო, რა კაცი ვიქნები?! ის „ცხუმი“ კი... ყველამ იცის, რაც იყო სოხუმის „ცხუმი“...

*მიხეილ ბახტაძე, საფეხბურთო კლუბ „მაუდის“ დირექტორი:* „მიხარია, რომ ჩვენმა წამოწყებამ გაამართლა. ტურნირი საკმაოდ კარგად ჩატარდა და ბევრი საინტერესო თამაშიც ვნახეთ. რეგიონული ლიგის ჩემპიონატი ჩვენთვის გუნდების სიმცირის გამო ძალიან მალე მთავრდება და უმეტესად უქმობა გვიწევს, რაც უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდებზე. გვინდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დახმარებით ასეთი ტურნირი თებერვალშიც ჩავატაროთ“.

*მალხაზ ბერიაშვილი, „სამგორის“ მწვრთნელი:* „ყველაფერი კარგად იყო ორგანიზებული, ფეხბურთელებმაც თავი არ დაზოგეს და საკმაოდ დაძაბული მატჩები ჩატარდა. კარგი იქნება, თუ ეს ტურნირი მომავალშიც გაიმართება“.

*თამაზ ჩოხელი, „სამგორის“ უფროსი:* „ჩვენთვის ასეთი ტურნირი სიახლე იყო და მიხარია, რომ მონაწილეობა „სამგორმაც“ მიიღო. რეგიონული ლიგის მეორე წრემდე ჯერაც დიდი დროა და მომზადებაში ესეც დაგვეხმარა. მით უმეტეს, გუნდებს შეკრების ჩატარება ძალიან უჭირთ“.

**ბახა შალამბერიძე**



გურამ ცაგარეიშვილის ფოტო

ნახევარმცველთაგან ერთ-ერთი საუკეთესო, ცხუმელი ოთარ ბახტაძე

## 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები

# OTTO ახალი ღმერთი ბერძნულ პანთეონში



### საბერძნეთი

**მსოფლიოს** ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მეორე ჯგუფში გამოკვეთილი ფავორიტი არ ჩანს. სპეციალისტთა აზრით, საქართველო-ალბანეთ-ყაზახეთის სამეულზე გაცილებით დიდი შანსი დანიას, უკრაინას, საბერძნეთსა და თურქეთს აქვთ და გერმანიაში წამსვლელიც ამათ შორისაა საძიებელი. ამ ოთხიდან საქართველო მხოლოდ დანიას არ შეხვედრია, გამორჩევით უარყოფითი ბალანსი კი ჩვენებს ბერძნებთან აქვთ. ელინელებმა სადაც დაიჭირეს, იქ დასცეს ჩვენებურები და რაღა გასაკვირია, რომ მომავალ შესარჩევ ციკლში საბერძნეთი ყველაზე უხერხული მეტოქე იქნება ჩვენთვის.

საბერძნეთის ნაკრებმა ხმაურით გაიმარჯვა ევროშესარჩევ ჯგუფში, თვით ესპანეთი დაჩრდილა და პლეიოფის გარეშე მოიპოვა პორტუგალიის საგზური.

რა იყო ბერძენთა ბოლოდროინდელი აღმავლობის მთავარი მიზეზი? ეს რომ ნებისმიერ ელინელს ჰკითხოთ, პასუხი ერთი იქნება — ოტო რეჰაგელი. ოტოს სასწაულები გერმანიის საზღვრებსაც გასცდა. რეჰაგელი იყო, მეორე ბუნდესლიგიდან აღზევებული „კაიზერი“ პირველსავე ბუნდესსეზონში „ბაიერნს“ რომ წამოასკუპა თავზე და ჩემპიონი გახადა. მისი ჯადოსნური კვერთხი საბერძნეთშიც ტრიალებს — რეჰაგელმა ნაკრები ევროპულ ელიტაში შეიყვანა და ღმერთკაცად მონათლეს. იგი საბერძნეთში ხელშეუხებელია. რამდენიმე დღის წინ ერთმა იქაურმა ჟურნალისტმა რეჰაგელი გააკრიტიკა, საქველმოქმედო მატჩისას ნაკრებს არ უხელმძღვანელა და თვითნებურად გაემგზავრა გერმანიაში დასასვენებლადო. ამ ჟურნალისტს მოუზომელი ნათქვამისთვის ისეთი ქარცეცხლი დაატეხეს, რეპორტიორობაზე ხელი აალებინეს.

რეჰაგელი ერთი შეხედვით უტაქტოდ მოიქცა ბერძნული ფეხბურთის ლაურეატების დაჯილდოებისასაც. მისთვის საგანგებო პრიზი ფედერაციის პრეზიდენტს უნდა გადაეცა, მაგრამ გერმანელი საერთოდ არ მივიდა დაჯილდოების ცერემონიალზე, თუმც მის მიმართ საყვედური არავის დასცდენია — ოტო საბერძნეთშიც მეფეა. ბერძნები არც იმას ნაღვლობენ, რომ მათი ნაკრების თავკაცმა ბერძნული არ იცის. გენიოსია, უამისოდაც იდეალურად ამყარებს ურთიერთობას ფეხბურთელებთანო. რეჰაგელს ენობრივი ბარიერი პრობლემას მართლაც არ უქმნის და ეს მთლიანად იოანის ტოპალიდისის დამსახურებაა. ეს კაცი ოტომ გერმანიიდან ჩამოიყვანა და თანაშემწედ დაისვა. ამბობენ, ტოპალიდისი რეჰაგელის ინტონაციით და ემოციითაც კი უთარგმნის სათქმელს ფეხბურთელებსო. მოკლედ, საბერძნეთს რეჰაგელის მანია შეეყარა. მისი წვლილი მართლაც დიდია სანაკრებო წარმატებაში, მაგრამ, ცხადია, ელინელები ფეხბურთელებსაც არ ივიწყებენ. ჩვენ სანიმუშოდ ნაწრთობი ჯარისკაცები გვყავსო, ამბობენ იქაური ჟურნალისტები.

ამ „ჯარისკაცებიდან“ ყველაზე დიდ მომავალს „ირაკლისიდან“ „პანათინაიკოსში“ ახალგადასულ ჯერაც თინეიჯერ აკის სტოლპიდისს უწინასწარმეტყველებენ. ეს ბიჭი ევროპის ჩემპიონატზე არ შეგვარცხვენს და მსოფლიოზეც გაგვიყვანსო, ამბობენ ბერძნები.

ჩვენს მომავალ მეტოქეს პრობლემებიც აქვს, თანაც ისეთი, ევროპის ჩემპიონატსა და მსოფლიოს შესარჩევ ეტაპზე ბერძენთა თამაშზე დიდი გავლენის მოხდენა რომ შეუძლია. ნაკრების რამდენიმე წევრი საკლუბო პრობლემებს უჩივის. მეტიც, ვასილიოს ლაკისი და მიხალის კასაპისი უეფას საარბიტრაჟო სასამართლოს მიადგნენ— აეკ-ი გვჩაგრავს და მოგვხედეთო. გაფიცვით იმუქრებიან ვასილიოს ცარტასი და თეოდოროს ზაგორაკისიც, თუ ერთ კვირაში ხელფას-პრემიებს არ მოგვცემენ, ავჯანყდებით და სხვებსაც ავიყოლიებთო.

ევროჩემპიონატსა და მსოფლიოს შესარჩევ ეტაპზე ვერ ითამაშებს ცოტა ხნის წინ „ბერძნულ იმედად“ შერაცხული პარასკევას ანცასი. ამ ფეხბურთელმა ისე მოუკლო თამაშს, რეჰაგელმა ჯერ კიდევ ევროშესარჩევის მსვლელობისას დაითხოვა ნაკრებიდან. ანცასს კლუბშიც ვერ გაუგეს — რამდენიმე დღის წინ „ოლიმპიაკოსმა“ ეს ფეხბურთელი მეორე ლიგაში გაუშვა გონზე მოსასვლელად.

თუ საქართველოს ნაკრებს სექტემბერში მოუხდა ბერძნებთან თამაში, ელინელები ვერაფრით დაიხმარენ დაცვის ბურჯს და საბერძნეთის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს სოტირიოს კირიაკოსს. ამ ფეხბურთელმა ისეთი ტრავმა მიიღო, საოპერაციო და სერიოზულად სამკურნალოა. ექიმები კირიაკოსს რვა თვე უქმობას უწინასწარმეტყველებენ.

**პაატა ძვანტალიანი**

# უქრაინა მარიფათმა საფრანგეთში ჩაიყვანა

### უკრაინა

**თადარიგიანი** საფეხბურთო ჩინოსნები ჰყავთ უკრაინელებს. იქაურებს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შესახვედრად საქმე, ფაქტობრივად, დალაგებულ-მომთავრებული აქვთ. რამდენიმე დღის წინ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ თურქეთს პირველი ბრძოლა მოუგო და იანვრის ბოლოს თავად უმასპინძლებს შესარჩევი ჯგუფის კალენდრის შედგენას. უკრაინელებს თითქმის ყველა „ფანჯარა“ ათვისებული აქვთ — გადაწყვეტილია, ვისთან და როდის გამართავენ საკონტროლო თამაშებს. ლურჯ-ყვითლებს საგაზაფხულო გრაფიკი აქამდეც შემუშავებული ჰქონდათ. ის კი არა, აზია-აფრიკაშიც დაუგეგმავთ ორ-ორ მატჩიანი ტურნე. უკრაინელებს მხოლოდ 6 ივნისი აფიქრებდათ. ეს დღე უეფას „სათამაშო დღეთა“ განრიგში ზის და სურდათ, სახელოვან, ძლიერ მოწინააღმდეგეს გაჯიბრებოდნენ. ჩვენმა მომავალმა მეტოქემ მიზანს მიაღწია. გადაწყვეტილი ამბავია, 6 ივნისს „სტად დე ფრანსზე“ ბლოხინის ბიჭები საფრანგეთს დაუპირისპირდებიან. არადა, ფრანგებთან ამ დღეს გაჯიბრება დანიელებს და თვით ინგლისელებსაც ეწადათ. თუმც უკრაინელები ამჯერადაც მარიფათიანად მიდგნენ-მოდგნენ და საფრანგეთი დაიბევეს.

**პაატა ძვანტალიანი**

*უეფას ვებ-გვერდზე მიმდინარეობდა გამოკითხვა, რომელსაც 2003 წლის სიმბოლური ნაკრები უნდა გამოევლინა. გამოკითხვაში, ცხადია, გულშემატკივრები მონაწილეობდნენ, ნომინანტები კი სპორტსმენთა ამპლუების მიხედვით უეფას ჟურნალისტებმა აარჩიეს. მათ შორის, მარცხენა მცველის პოზიციაზე კახა კალაძეც იყო დასახელებული, მაგრამ რობერტო კარლოსი...*

# უეფამ წიწილები სიმბოლურად დაითვალა
## რობერტო კარლოსმა კალაძე არ გაუშვა



სიმბოლური ნაკრების ნახევარდაცვა ფიგუს და ბექემს ანდეს

**გუშინ** უეფელებმა შედეგები შეაჯამეს და სიმბოლური ნაკრებიც შედგა. დაახლოებით მილიონ 500 000-მა ქომაგმა მიიღო მონაწილეობა წლის თერთმეტეულის და მათი მწვრთნელის არჩევაში.

მადრიდის „რეალმა“ ჩემპიონთა თასი შარშან ვერ შეინარჩუნა, მაგრამ მიუხედავად ამისა, სიმბოლურ ნაკრებში „სამეფო“ კლუბის ოთხი ფეხბურთელი მოხვდა. მარცხენა მცველის პოზიციაზე რობერტო კარლოსმა ხმების 64 პროცენტი მიიღო. უეფას რჩეულთა გუნდის შუახაზი მადრიდის „რეალმა“ დაისაკუთრა. ლუიშ ფიგუს და დევიდ ბექემს თერთმეტეულში მოხვედრა არ გასჭირვებიათ, ხოლო ზინედინ ზიდანს „პორტუს“ გამთამაშებელი დეკუ სოუზა „ეჭიდავებოდა“. საბოლოოდ ფრანგმა ოდენ 43 პროცენტი მოაგროვა და დეკუს ოთხი ერთეულით აჯობა.

სიმბოლურ ნაკრებში 2003 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი პაველ ნედვედი დამფა-ზურნით შევიდა. ჩეხმა ხმათა 65 პროცენტი მოაქუჩა. მან რაიან გიგზს და რაფაელ ვან დერ ვაარტს საგრძნობლად გაუსწრო.

დაცვის ცენტრში უპრობლემოდ დაიმკვიდრეს ადგილი მილანელებმა. პაოლო მალდინი და ალესანდრო ნესტა სიმბოლურ ნაკრებში რომ აღმოჩნდნენ, არც ესაა გასაკვირი.

მარჯვენა მცველის პოზიციაზე კანდიდატებმა ხმები თანაბრად მიიღეს, მაგრამ საბოლოოდ „პორტუს“ მოთამაშემ პაულუ ფერეირამ მცირე უპირატესობით იმარჯვა.

თავდასხმაში, რა თქმა უნდა, რუუდ ვან ნისტელროი და ტიერი ანრი გაამწესეს, ხოლო მწვრთნელად, „პორტუს“ თავკაცი ჟოზე მაურინიუ.

მაურინიუს თავკაცობით „პორტუმ“ 2002-03 წლების სეზონში ქვეყნის ჩემპიონობა, თასი და უეფას თასი მოიგო, ახლა კი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალშიც გააღწია. ასე რომ, პორტუგალიელს გარჯა უეფას ვებ-გვერდზეც დაუფასეს და სიმბოლური ნაკრები „ჩააბარეს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## 2003 წლის სიმბოლური ნაკრები



*ჯანლუიჯი ბუფონი („იუვენტუსი“), რობერტო კარლოსი („რეალი“), პაოლო მალდინი, ალესანდრო ნესტა (ორივე „მილანი“), პაულუ ფერეირა („პორტუ“), პაველ ნედვედი („იუვენტუსი“), ზინედინ ზიდანი, დევიდ ბექემი, ლუიშ ფიგუ (სამივე „რეალი“), ტიერი ანრი („არსენალი“), რუუდ ვან ნისტელროი („მანჩესტერ იუნაიტედი“)*

# ფერგიუსონებმა ჰოვარდი ჩაიჯიბეს?

## მამა ნახე, შვილი ნახე, ფული ისე გამონახე

*შარშან ზაფხულს, ივლისში, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ნიუ იორკის „მეტროსტარზიდან“ აშშ-ს ნაკრების მეკარე ტიმ ჰოვარდი 2 მილიონ 300 ათას გირვანქად შეიძინა. ორ კლუბს შორის გარიგებიდან 5 თვეზე მეტი გავიდა. ჰოვარდი გუნდის ძირითად შემადგენლობას უმალ გაუშინაურდა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფანებს ტაში არაერთხელ მოსწყვიტა.*

*თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო და სამდურავიც არ არსებობდა ჰოვარდის ტრანსფერში გაზეთი „სანდი თაიმს“ რომ არ ჩარეულიყო. ამ გაზეთის ჟურნალისტებმა აი, რა გამოქექეს: გარიგებიდან ხუთი თვის შემდეგ მავანმა მაიკ მორისმა შვეიცარიელი აგენტისგან, გაეტანო მაროტასგან 139 000 ევრო მიიღო*



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექს ფერგიუსონს ტიმ ჰოვარდის ტრანსფერის ამბავს ასოციაციაში გაურჩევენ

ვინ არიან ეს ვაჟკაცები და რა აკავშირებთ ტიმ ჰოვარდის ტრანსფერთან? ამბავი ერთობ ჩახლართული და ამდენადვე საინტერესოა.

კრეიგ ალარდაისის შესახებ თუ გსმენიათ ოდესმე? კრეიგი „ბოლტონის“ მწვრთნელ სემ ალარდაისის ვაჟი და საფეხბურთო აგენტია, ისევე როგორც „ნოტინგემ ფორესტის“ მენეჯერის, პოლ ჰარტის შვილი ჯეიმი. ამათ გარდა ფეხბურთელთა სატრანსფერო საქმეების გაჩარხვით დაკავებულან „ნიუკასლის“ თავმჯდომარის, ფრედი შეპერდის მემკვიდრე კენეტი და ლონდონის „არსენალის“ ვიცე-პრეზიდენტის დევიდ დინის ვაჟკაცი დარენი. აქ მივადექით მთავარს: „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელ სერ ალექს ფერგიუსონის შვილი, 31 წლის ჯეისონიც საფეხბურთო აგენტი ყოფილა.

სერ ალექსს არაერთი მოთამაშის გადაბირების საქმე გაუჩარხავს და ისიც ცნობილი აიბავია, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარ კაბინეტში სატრანსფერო ამბები უიმისოდ არასოდეს წყდება. „ცნობილი მწვრთნელების ვაჟებს, მამის სახელი ბიზნესში ყოველთვის ეხმარებათ და ეს ჩვეულებრივია, მაგრამ ზოგჯერ მამები თავის მდგომარეობას, ძალაუფლებას სხვაგვარადაც იყენებენ“ — მიაჩნია გაზეთ „გარდიანის“ მიმომხილველ პოლ კელსის.

ჯეისონ ფერგიუსონი სააგენტო „ელიტ მენეჯმენტის“ თანამეწილეა და მისი ფირმა მრავალი ფეხბურთელის სატრანსფერო უფლებებს განაგებს. ამ ფირმას კარგი ურთიერთობები აქვს მონაკოში არსებულ ანალოგიურ დაწესებულებასთან, რომლის მფლობელიც ზემოთხსენებული მაიკ მორისი გახლავთ. შვეიცარიელი აგენტი გაეტანო მაროტა კი ტიმ ჰოვარდის ტრანსფერს აგვარებდა და „მანჩესტერ იუნაიტედისგან“ სრული უფლება ჰქონდა საამისოდ.

როგორც წესი, ტრანსფერის დასრულებისთანავე, სათანადო დოკუმენტების ასლები გაუგზავნეს ფიფას და ქვეყნის (ამ შემთხვევაში ინგლისის) ფეხბურთის ასოციაციას, იმის დასამოწმებლად, რომ ყველაფერი კანონის ფარგლებში მოგვარდა. ამჯერადაც ასე მოხდა, მაგრამ „სანდი თაიმსის“ ჟურნალისტთა აზრით, ოფიციალურად გაცხადებული 2 მილიონ 300 ათასი გირვანქის გარდა (ტიმ ჰოვარდის სანაცვლოდ გადახდილი თანხა) გაეტანო მაროტამ „შავი ფულიც“ მოტეხა და ჯეისონ ფერგიუსონის მეგობრის, მაიკ მორისის სააგენტოს გადაუგზავნა. მაიკ მორისი თავის დროზე „მანჩესტერიდან“ „ლაციოში“ იაპ სტამის გადასვლაშიც მონაწილეობდა და ამ გარიგებიდან მილიონ 400 ათასი ევრო ერგო.

გაზეთ „გარდიანის“ მიმომხილველი პოლ კელსი ეჭვობს, რომ სერ ალექს ფერგიუსონი, მისი შვილი ჯეისონი და მაიკ მორისი სატრანსფერო საქმეებში გვარიანად ხეირობენ. კელსიმ რამდენიმე საგულისხმო ფაქტი მოიყვანა. მისი მტკიცებით, 2002 წელს, მაშინ „მანჩესტერ იუნაიტედის“, ახლა კი „მიდლსბროს“ ნახევარმცველ ჯონათან გრინინგს სერ ალექს ფერგიუსონი სათადარიგოთა სკამზე დასმით დაემუქრა, თუ გრინინგი ჯეისონ ფერგიუსონის „ელიტ მენეჯმენტის“ სააგენტოს კლიენტი არ გახდებოდა. ერთი სიტყვით, კლიენტებს (ფეხბურთელებს) აშანტაჟებდა, რათა საკუთარი შვილის „ლუკმა“ გაეხადა და შემდგომში სარფიანად გაეყიდათ.

„სანდი თაიმსმა“ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას მოპოვებული მასალები მიუტანა და ჩინოვნიკები საქმის განხილვას შეუდგნენ. ასოციაციაში უნდა გაარკვიონ: ივლისში მოგვარებული ტრანსფერიდან რამდენიმე თვის შემდეგ, „მანჩესტერო იუნაიტედისგან“ უფლებამოსილი პირის, გაეტანო მაროტასგან, მონაკოში მყოფმა მაიკ მორისმა (რომელიც ჯეისონ ფერგიუსონის ძმობილია და თურმე „ელიტ მენეჯმენტი“ მორისის სატელეფონო ხარჯებსაც კი ანაზღაურებს) რატომ მიიღო 139 000 ევრო. არის თუ არა ალექს ფერგიუსონი გარეული ამ საქმეში და ხომ არ იმალება ტრანსფერის უკან ფინანსური მაქინაციები?

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ დეივისმა განაცხადა, რომ ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი „სანდი თაიმსისგან“ უკვე მიღებულია და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო ზომებს მიმართავს.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ბოსები თავის მხრივ ამტკიცებენ, რომ ისინი ფიფასთანაც და ფეხბურთის ასოციაციასთან პირნათელნი არიან და ტრანსფერი კანონის სრული დაცვით განხორციელდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სიტის კარი და სალარო ცარიელია

## გაჭირვებულს ქვა ჰაერშიც დაეწევა



კევინ კიგანი

*ვაი, შენს „სიტის“. ვინძლო, ამ მანჩესტერული გუნდის საქმე ისევე მიდის, როგორც წინა წლებში „ლესტერის“, „ბრედფორდის“, „იფსვიჩის“, „უიმბლდონისა“ და ვინ მოთვლის კიდევ რამდენისა წავიდა. ვალები, მიჯრით წაგებული თამაშები, შეუცვლელ ფეხბურთელთა ტრავმები, შიდა ინტრიგები... ერთი სიტყვით, „სიტი“ თუ გავარდა, მაინცდამაინც ნუ გაგიკვირდებათ. არადა, ერთხანს ლიდერთა მარაქაშიც რომ იყო გარეული?!*

„სიტის“ ზედიზედ 14 თამაშია, არ მოუგია. წინა უქმეებზე პორტსმუთში წააგო 2:4 და ეს თუ საკმარისი არ არის დასაღონებლად, კიდევ ერთ მიზეზს მოგახსენებთ — „პორტსმუთთან“ შეხვედრის მე-13 წუთზე სიტელებმა მეკარე დევიდ სიმენი რომ შეცვალეს, ცუდად გენიშნებოდათ. ოდინდელმა „მეთოფემ“ მძიმე ტრავმა მიიღო და ორი თვე ველარ იხტუნებს. მის ასაკში კი ეს თითქმის კარიერის დასრულებას ნიშნავს.

და ვინ უნდა დაიცვას „სიტის“ კარი? მართლაც და, ვინ?

ირკვევა, რომ გუნდს საიმედო მეკარე არ ჰყავს. კევინ ელეგაარდი დიდი ვერაფერი მეკარეა. ბოლოს და ბოლოს, ეგ არ იყო, პორტსმუთში შეცვლაზე რომ ჩადგა კარში და ოთხი გოლი გაუშვა?!

კასპერ შმაიხელი? ის ხომ ჯერ ბავშვია და ამ სერიოზულ საქმეში დიადი პიტერ შმაიხელის შვილობა არაფერს ნიშნავს. მეტი მეკარე „სიტის“ არ ჰყავს, ჰოდა, ვინ? გამოდის, რომ ვიღაც უნდა იყიდონ.

აქ კი კითხვა ასე უნდა დავსვათ: რომელი ფულით? რომელიც „სიტის“ არა აქვს? სანდო წყაროები ირწმუნებიან, კლუბს 50 მილიონი გირვანქა ვალი აქვსო. დასაჯერებელია.

გვარებსაც ასახელებენ. ლიდსელი პოლ რობინსონი, ინგლისის ნაკრების ახლანდელი მეკარე დევიდ ჯეიმსი, სქოთური „ჰართსის“ ნიჭიერი გოლკიპერი კრეიგ გორდონი.

თუმცა „სიტის“ უფულობის ამბავი რომ ვთქვით, ცხადია, იმას არ ნიშნავს, თითქოს კლუბს გახვრეტილი პენსი არ ეგდოს სალაროში. უბრალოდ, ბევრი ფული ვიგულისხმეთ, პირველხარისხოვანი მეკარის ყიდვას რომ გასწვდება. ხოლო რაც აქვთ, მილიონზე ოდნავ მეტი გირვანქაა და ამ ფულით პირველხარისხოვანი მეკარის ყიდვა, რა თქმა უნდა, გაჭირდება.

ეს ფულიც „სიტიმ“ ეიალ ბერკოვიჩის გაყიდვით იშოვა. სხვათა შორის, ბერკოვიჩი სწორედ იმ „პორტსმუთს“ მიჰყიდა, ამ უქმეებზე ვინაც გაანადგურა.

სიტყვამ მოიტანა და რაკი ბერკოვიჩი ვახსენეთ, მასაც მივუგდოთ ყური. გაყიდულმა თქვა, კევინ კიგანი დიდი ბავშვივითაა, „სიტიში“ მას პატივს არავინ სცემს და რაც მალე გააგდებენ, მათთვისვე უკეთესი იქნებაო.

რა იქნება უკეთესი, ვინძლო, სიტელებმა უკეთ იცოდნენ, თუმცა გაყიდული ბერკოვიჩისგან გამყიდველ კიგანზე აუგის თქმა უცნაური არ უნდა იყოს.

თუმცა არა, ნიკოლა ანელკას ეს ამბავი უცნაურად მოსჩვენებია და მხრები აუჩეჩავს, ვერ გამიგია, რას ერჩის ბერკოვიჩი ჩვენს მენეჯერს, უკეთესი ვინ უნდა მოვიდესო.

უკეთესი, იცოცხლეთ, ბევრია, აი, ანელკას გულუბრყვილობას კი საზღვარი მართლა არ ჰქონია. აგვისტოში თქვა, ნაკრებში იმ შემთხვევაში დავბრუნდები ჟაკ სანტინი დაჩოქილი თუ შემეხვეწებაო. ამ რამდენიმე დღის წინ კი იმავ ანელკამ განაცხადა, სიამოვნებით დავბრუნდები ეროვნულ გუნდშიო. როგორ ფიქრობთ, სანტინი იმ პირველი ნათქვამის მერე დააბრუნებს?

ამასობაში კიგანს ბერკოვიჩისთვის საპასუხოდ ნალდად არ სცალია. ამბობს, რამდენიმე დღეში უნდა ვიპოვო ახალი მეკარე და სამწლიანი კონტრაქტი მაინც გავუფორმოო. სალაროში აღმოჩენილ მილიონზე ოდნავ მეტ გირვანქაზე კი თქვა, რაცა გვაქვს ესაა და ამ ფულით ყიდვა თუ არ გამოგვივიდა, ეგებ იჯარით ავიყვანოთო.

მოკლედ, „სიტიში“ კარგი ამბები არ არის და თუ მაინც ჩავეძიებით, ერთ კარგ ამბავს მაინც აღმოვაჩენთ — შაბათ ღამით მანჩესტერისკენ გეზაღებულ სიტელთა თვითმფრინავის ერთ ძრავას ცეცხლი წაეკიდა და ავარიულად დაჯდომა მოუხდა. კი, ცუდი ამბავია, მაგრამ გუნდი რომ გადარჩა, ეგ ხომ კარგია?!

**ირაკლი ნინიძე**



დევიდ სიმენი

# დარკინმა პენალტი აღიარა



ტომ ჰოვარდმა რომ ალან შირერს ფეხი გამოსდო, ამ ფოტოდანაც ჩანს

**მსაჯმა** პოლ დარკინმა აღიარა, რომ „მანჩესტერ“ — „ნიუკასლის“ საკვირაო მატჩში ნაღდი პენალტი არ დანიშნა მანჩესტერელთა კარში მას შემდეგ, რაც მეკარე ტიმ ჰოვარდმა ალან შირერი წააქცია. თამაში კი, უგოლოდ დასრულდა. „მე ველოდი, რომ მცველი წინ გადააწოდებდა ბურთს, ამიტომ ცენტრისკენ წავედი. მცველმა მეკარეს დაუბრუნა ბურთი და ამიტომ მომენტისგან შორს აღმოვჩნდი, — თქვა დარკინმა — მეკარისა და შირერის კონტაქტი ჩემი ადგილიდან არ ჩანდა.“

ამავე თამაშში დარკინმა მიკაელ სილვესტრის მიერ „ნიუკასლის“ კარში გატანილი გოლი არ ჩათვალა. სერ ალექს ფერგიუსონმა დაადასტურა, რომ მისი გუნდის კარში პენალტი ნამდვილად იყო, ოღონდ სილვესტრის გოლიც ნაღდი იყო.

თავად დარკინს ტელეეკრანზე უნახავს ჰოვარდისა და შირერის შეჯახება.

„ეს რომ ვნახე, ვამბობ: „პენალტი იყო, „ნიუკასლს“ იღბალმა უმტყუნა“ — თქვა მსაჯმა.

ფერგიუსონმა კი დაურთო: „დარკინს იმის სიმამაცე ეყო, რომ შეცდომა ეღიარებინა. თუ სხვებიც ასე მოიქცევიან, უკეთესი მსაჯობა გვექნება“.

სერ ბობი რობსონი ცხადია წუხდა არდანიშნულ პენალტზე, თუმცა აშკარად უხაროდა, რომ „ნიუკასლმა“ კარგად ითამაშა „ოლდ ტრეფორდზე“ — „თამაში ვაჩვენეთ, შარშან აქ უხეიროდ ვითამაშეთ, ახლა კი ნამდვილი ფეხბურთი გამოგვივიდა“.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ლიდსი უნდა გადარჩეს

**ბაჰრეინის** სამეფო ოჯახის წევრმა, მილიარდერმა შეიხმა აბდურაჰმან ბინ მუბარაკ ალ-ხალიფამ კვლავ გამოაცხადა, რომ „ლიდს იუნაიტედის“ გადარჩენა სურს.

შეიხი უკვე ფინანსურ ჯგუფს ჰქმნის, რომელსაც „ლიდსის“ ყოფილი თავმჯდომარე ალან ლეიტონი უხელმძღვანელებს და რომელშიც ორი საუდელი ბიზნესმენი, ერთი აზიური ფირმა და ბრიტი მილიონერი ფილიპ გრინი შევლენ.

ჯგუფი 19 იანვრამდე შეეცდება ლიდსის 80-მილიონგირვანქიანი ვალების დაფარვას, მევალეებმა სწორედ ეს თარიღი დაუდგინეს საბრალო კლუბს ვალების გასტუმრების ბოლო თარიღად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იორკშირელთა საყვარელი გუნდი მათ ხელში გადავა და მისხალ-მისხალ გაიყიდება.

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XVII ტური

**ლეირია 3:3 ბენფიკა**

1:0 ფილიპე (19), 1:1 შოკოტა (29), 2:1 დუალა (42), 2:2, 2:3 ნუნუ გომეში (57, 78), 3:3 დუალა (83)

**ბრაგა 2:1 ბელენენსეში**

0:1 ანშოე (46), 1:1 რენივალდო (65), 2:1 ჟ. საიდი (82პ)

**ბეირა მარი — ჟილ ვისენტე**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 17 | 14 | 3 | 0 | 39:11 | 45 |
| სპორტინგი | 17 | 13 | 1 | 3 | 33:17 | 40 |
| ბენფიკა | 17 | 10 | 4 | 3 | 34:17 | 34 |
| ბრაგა | 17 | 10 | 3 | 4 | 20:16 | 33 |
| ბეირა მარი | 16 | 9 | 2 | 5 | 25:19 | 29 |
| მარიტიმუ | 17 | 7 | 7 | 3 | 18:15 | 28 |
| ბოავიშტა | 17 | 7 | 6 | 4 | 15:11 | 27 |
| ნასიონალი | 17 | 7 | 2 | 8 | 26:18 | 23 |
| რიუ ავე | 17 | 5 | 6 | 6 | 18:15 | 21 |
| ჟილ ვისენტე | 16 | 5 | 5 | 6 | 24:20 | 20 |
| მორეირენსე | 17 | 5 | 4 | 8 | 14:22 | 19 |
| ბელენენსეში | 17 | 4 | 6 | 7 | 21:29 | 18 |
| ლეირია | 17 | 5 | 3 | 9 | 21:30 | 18 |
| ალვერკა | 17 | 5 | 2 | 10 | 18:24 | 17 |
| აკადემიკა | 17 | 4 | 3 | 10 | 14:21 | 15 |
| გიმარაეში | 17 | 3 | 5 | 9 | 18:25 | 14 |
| ფერეირა | 17 | 4 | 1 | 12 | 9:27 | 13 |
| ამადორა | 17 | 3 | 1 | 13 | 12:42 | 10 |

### II ლიგა. XVII ტური

**ნავალი 5:0 მაია**

*გუშინ ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის დიდმოხელეები, ბრენდონ ბატსონი, ტრევორ ბრუკინგი და დევიდ დევისი ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს, გარი ნევილსა და დევიდ ჯეიმს უნდა შეხვედროდნენ, რათა კიდევ ერთხელ ისაუბრონ რიო ფერდინანდის სანაკრებო საგაზე*

# როგორი უნდა ვიყოთ ჩვენ?

## არ დალიოთ, არ მოწიოთ, არ იჩხუბოთ, არ გააუპატიუროთ...

ფერდინანდის ნაკრებიდან დათხოვნამ ნოემბერში ფეხბურთელები ლამის გაფიცვამდე მიიყვანა და ახლა საბოლოოდ უნდა გაირკვეს, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მოთამაშე, ნაკრების მაისურა რომ ანდონ, ამ გარკვევით გაუგებრობები უნდა განიმუხტოს.

ფეხბურთელთა პროფკავშირის ლიდერმა გორდონ ტეილორმა ამის გამო თქვა: „არსებობს საფეხბურთო დანაშაული და კრიმინალური დანაშაული. ორივე შემთხვევაში უდანაშაულობის პრეზუმფცია უნდა დაიცვა“.

მოლაპარაკებებით შეჯერდება ფეხბურთელთა მოთხოვნები და ასოციაციის სურვილები, მანჩესტერში გასამართი შეხვედრას ასოციაციის შეფი მარკ პელიოსი და ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი არ დაესწრებიან. ლაპარაკის შემდეგ საქმეში ნაკრების ძველი კაპიტნები, ბრაიან რობსონი, გარი ლინეკერი, დევიდ პლატი და ალან შირერიც ჩაერთვებიან.

საუბრების მთავარი თემა იმის გარკვევაც იქნება, უნდა გაირიცხონ თუ არა ნაკრებიდან დაკავებული, დაპატიმრებული და გასამართლებული ფეხბურთელები.

**ირაკლი გამყრელიძე**



გარი ნევილი ასოციაციის კარს მიადგა

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „ნიუკასლის“ მხცოვანი მწვრთნელი ბობი რობსონი დამწუხრებულია — „სქაისპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ მიუხედავად მისი დიდი სურვილისა, „ნიუკასლში“ ვერც შოტლანდიური „სელტიკის“ შვედ ფორვარდ ჰენრიკ ლარსონს გადაიყვანს და ვერც „ლიდსის“ თავდამსხმელ მაიკლ ბრიჯისს. „გლაზგოელები უკვე რამდენჯერმე შევაწუხე. ლარსონის ყიდვა ძალიან მსურდა, მაგრამ უარით გამომისტუმრეს. უარი მითხრა „ლიდსის“ თავკაცმა ედი გრეიმაც, ბრიჯისთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას ვეშურებით და თქვენთან არ გადმოვაო“ — თქვა რობსონმა.

**კოლუმბიელი** თავდამსხმელი ხუან პაბლო ანხელი შესაძლოა, ლონდონის „არსენალში“ გადავიდეს. „მეთოფეებმა“ „ასტონ ვილას“ უკვე შეაძლიეს 8 მილიონი ევრო. როგორც ბრიტანული „ინდეპენდენტი“ იტყობინება, „არსენალის“ მწვრთნელი არსენ ვენგერი, მზადაა ანხელის სანაცვლოდ ფულთან ერთად ახალგაზრდა ჟერემი ალიადირისაც შეელიოს. „ვილას“ პასუხი უცნობია.

**ბელგიური** „ბრიუგეს“ პერუელი ფორვარდი ანდრეს მენდოსა მოსკოვის „ლოკომოტივს“ მოსწონს. მწვრთნელ იური სიომინს ამასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია, თუმც რუსული კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდი ინფორმაციის ადასტურებს. იქვე მითითებულია მენდოსას მონაცემებიც: მას პერუს ეროვნულ ნაკრებში 41 შეხვედრა ჩაუტარებია და წლევანდელი ბელგიის ჩემპიონატის 12 მატჩში 9 გოლი გაუტანია.

**პორტუგალიელმა** ნახევარმცველმა ლუიშ ფიგუმ ესპანურ მედიას განუცხადა, კარიერას მადრიდის „რეალში“ არ დავამთავრებო. „კონტრაქტის ამოწურვამდე, 2006 წლამდე, „სამეფო კლუბში“ ვითამაშებ, მერე კი ჩემს მშობლიურ „სპორტინგში“ დავბრუნდები — ამბობს 31 წლის ფიგუ და დასძენს — დიდი ხანია, რაც ესპანეთში ვთამაშობ და თითქმის ყველაფერი მოვიგე. მინდა, გითხრათ, რომ ჩემთვის ფინანსური მხარე ნაკლებმნიშვნელოვანია. „სპორტინგის“ ხელმძღვანელობას სიტყვა მივეცი, რომლის გატეხვასაც არ ვაპირებ“.

**ესპანური** „ბარსელონას“ აწ უკვე ყოფილი შვედი ცენტრალური მცველი პატრიკ ანდერსონი მშობლიურ „მალმიოში“ დაბრუნდა და გუნდთან კონტრაქტიც სეზონის ბოლომდე გააფორმა. 32 წლის ანდერსონს შვედეთის ნაკრების მაისურა 96-ჯერ მოურგია. „მალმიოს“ სპორტული დირექტორი ჰასე ბორგი ტრანსფერით აღფრთოვანებულია და ამბობს, ჩვენ მსოფლიო დონის მცველი გადმოვიბირეთ და ეს დღე (ანუ გუშინდელი) კლუბის ისტორიაში ოქროს ასოებით შევაო.

**ინგლისური** „ლივერპულის“ მეგოლე მაიკლ ოუენმა გუნდის ხელმძღვანელები და ქომაგები გაახარა. მან გუშინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ „ლივერპულიდან“ არსად წასვლას არ აპირებს. მეტიც, გუნდთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას ეშურება, ძველი კი წელიწადნახევარში იწურება. არადა, „ჩელსის“ რუსი მეპატრონე რომან აბრამოვიჩი ოუენს ზღაპრულ ანაზღაურებას ჰპირდებოდა, თუ „ოქროს ბიჭუნა“ „სტამფორდ ბრიჯზე“ გადავიდოდა. „ახალი ხელშეკრულება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. მე ოჯახზეც უნდა ვიზრუნო. მიყვარს „ლივერპული“, ქალაქი, ქომაგები პატივს მცემენ და ვუყვარვარ. რატომ უნდა წავიდე? — რიტორიკულ კითხვას სვამს ოუენი.

**იტალიური** „მილანის“ სატრანსფერო საქმიანობათა მენეჯერი არიედო ბრაიდა მიუნხენში ჩავიდა და „ბაიერნის“ ხელმძღვანელობასთან წამოიწყო მოლაპარაკება. ბრაიდას სამიზნე გერმანული გრანდის პარაგვაელი ფორვარდი როკე სანტა კრუზი გახლავთ. გავრცელებული ინფორმაციით, „მილანს“ სანტა კრუზი ტრავმირებული ფილიპო ინძაგის შემცვლელად სურს, დაშავებულია იონ დალ ტომასონიც, ახალგაზრდა მარკო ბორიელო კი გამოუცდელია და ანდრეი შევჩენკოს მეწყვილეობას ვერ უწევს. შედგება თუ არა ტრანსფერი, უცნობია, თუმც „როსონერის“ ემისრები სხვაგანაც ჰყოლია თურმე დაგზავნილი: გუშინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით, რომ „მილანი“ ზლატან იბრაჰიმოვიჩით და დადო პრსოთი არის დაინტერესებული.

**რუსული** „სპარტაკის“ ახალმა თავკაცმა, იტალიელმა ნევიო სკალამ გადაწყვიტა, „სახალხო გუნდი“ თანამემამულეებით გააძლიეროს. გაზეთ „ტუტოსპორტის“ მტკიცებით, სკალას ერთ-ერთი პირველი რჩეული 34 წლის ნახევარმცველი ჯამპიერო მაინია. „რომას“, „ვიჩენცას“, „მილანის“, „ბოლონიასა“ და „პარმას“ ყოფილი ფეხბურთელი ახლა სერია A-ს აუტსაიდერ „ანკონას“ ღირსებას იცავს. მაინიმ 1997 წელს „ვიჩენცას“ შემადგენლობაში ქვეყნის თასი მოიგო, ორი წლის მერე „მილანთან“ ერთად იტალიის ჩემპიონიც გახდა. „სკუადრა აძურაში“ კი, როგორც ამბობენ, „სპარტაკის“ პოტენციურ ფეხბურთელს ერთი მატჩი აქვს ჩატარებული, 1997 წლის 4 ივნისს იტალიამ ინგლისთან 0:2 წააგო.

**შვედი** თავდამსხმელის ზლატან იბრაჰიმოვიჩის აგენტი მინო რაიოლა აცხადებს, რომ მისი კლიენტი ამსტერდამის „აიაქსს“ აუცილებლად დატოვებს, ოღონდ არა იანვარში: „მსურს, დაგარწმუნოთ, რომ ზაფხულიდან იბრაჰიმოვიჩი კარიერას იტალიაში გააგრძელებს. ზლატანის ორი მსურველი კლუბი, „მილანი“ და „იუვენტუსი“ უკვე რამდენჯერმე დაგვიკავშირდნენ“. იბრაჰიმოვიჩს „აიაქსთან“ კონტრაქტი 2006 წლის ივნისში ეწურება, თუმც „იუვენტუსი“ მასში 12 მილიონ ევროს უკვე იხდის და გუნდიდან მიმავალი დავიდ ტრეზეგეს შემცვლელად ესახება. „მილანის“ შეთავაზება კი უცნობია. სამაგიეროდ, ცნობილია კარლო ანჩელოტის დაჟინებული მოთხოვნა „როსონერის“ ბოსებისადმი, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, შვედი ცენტრალური თავდამსხმელი გადმოვიყვანოთო.

# ედგარი აქ არის
## ბარსელონამ ძალა და აგრესია იქირავა

*ჰოლანდიელი ედგარ დავიდსი 2003-04-ის სეზონის დასრულებამდე კატალონიურ „ბარსელონაში“ ითამაშებს. გუშინ ტურინის „იუვენტუსის“ აწ უკვე ყოფილი ფეხბურთელი საკუთარი აგენტის, რობერტ გრილინგის თანხლებით ბარსელონას ესტუმრა, რათა იქაური გრანდის პრეზიდენტთან საქმიანი ხელშეკრულება გაეფორმებინა. დავიდსი 6 თვის განმავლობაში „კამპ ნოუზე“ იჯარით იბურთავებს*

„მოხარული ვარ, ედგარი ჩვენთან რომ გადმოვიდა. იგი სწორედ ისეთი ტიპის ფეხბურთელია, რომელიც გუნდს ახლა ყველაზე მეტად სჭირდება — სწრაფი, ძლიერი, აგრესიული და უზარმაზარი გამოცდილებით. იმედია, ჩვენი თანამშრომლობა 30 ივნისის შემდეგაც გაგრძელდება“ — განაცხადა ბარსელონელთა პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ.

ჰოლანდიელი ნახევარმცველის სიჩაუქით კლუბის სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინიც აღფრთოვანებულა: „დავიდსი „ბარსასთვის“ დიდ ძალას წარმოადგენს. იგი დაცვაში და თავდასხმაში ერთდროულად შესანიშნავად თამაშობს, რაც, რა თქმა უნდა, მოედნის ცენტრის გამყარებაში დაგვეხმარება. ვთვლი, რომ გუნდის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილება აბსოლუტურად მართებულია“.

„ბარსელონა“, მოგეხსენებათ, მართლაც საჭიროებდა ახალი სისხლის გადასხმას, რამეთუ ამ ბოლო დროს ფრანკ რაიკარდის შეგირდებს ესპანურ პრიმერაში თუ სამეფო თასზე მეტისმეტად უიღბლო გამოსვლები დაებედათ. ავი ბედისა თუ შეუთამაშებლობის გამო დაზარალებულ გუნდს ედგარ დავიდსი თავისი მებრძოლი ხასიათით გააწონასწორებს. მისი თანამემამულისა და ახლანდელი მწვრთნელის, ფრანკ რაიკარდის აზრი: „ედგარი გუნდს წარმატებებს მოუტანს. მას „ბარსაში“ თავისებური, დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია დაეკისრება, რაც საბოლოო ჯამში მოთამაშეთა შორის ბურთის სწორად განაწილებას შეუწყობს ხელს. უყოყმანოდ შემიძლია დავიდსის საფეხბურთო ოსტატობას თავდებად დავუდგე — „ბარსამ“ ნამდვილად ღირსეული მოთამაშე შეიძინა“.

რაც შეეხება საიჯარო გარიგების ფინანსურ მხარეს — აქ კატალონიელები დელიკატურ დუმილს ამჯობინებენ. თუმც ესპანური „სპორტისა“ და „მარკას“ ცნობით, ნიდერლანდელის ანაზღაურება 1,2 მილიონ ევროს შეადგენს. გარდა ამისა, ხელშეკრულებით ლაპორტას დავიდსის ყიდვაზე დამატებითი უფლებები მიენიჭა. (ესე იგი, იმ შემთხვევაში, თუ სხვა გუნდები მოისურვებენ მის შეძენას, ჯერ „ბარსას“ მესვეურთა პოზიცია უნდა გაითვალისწინონ).

ოკეანისგაღმა სურინამში დაბადებული „პიტბული“ შთამბეჭდავ ჯილდოთა მომხვეჭი ვეტერანია — ჰოლანდიისა და იტალიის 3-გზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, უეფას, ევროპის სუპერთასის საკონტინენტთაშორისო თასისა და ორჯერ იტალიის სუპერთასის მფლობელი მთელი ეს მბრწყინავი მარაგი 3 დიდი გუნდის რიგებში გამოსვლისას მოაგროვა: „აიაქსში“ (1991-1996), „მილანსა“ (1996-1997) და „იუვენტუსში“ (1997-2004).

უნდა აღინიშნოს, რომ დავიდსს ფრანკ რაიკარდთან ერთად უთამაშია კიდეც — 1995 წელს ჩემპიონთა ლიგა „აიაქსში“ ლუის ვან გაალის ხელმძღვანელობით მოიგეს. „მოხიბლული ვარ „ბარსელონაში“ ჩარიცხვით. რაიკარდთან და მის გუნდთან თანამშრომლობა ჩემთვის უზარმაზარ პასუხისმგებლობას ნიშნავს და მეც მთელი მონდომებით ვეცდები, „კამპ ნოუს“ გულშემატკივრებს კარგი თამაშით სიხარული მივანიჭო“ — ხალისიანად აღნიშნა დავიდსმა ესპანურ სპორტულ მედიასთან შეხვედრისას.

**ლადო ხომერიკი**



REUTERS

ბარსელონელმა ექიმებმა ედგარ დავიდსს ჯანი შეუმოწმეს



# ვინ, თუ არა ტორესი?

**ესპანეთი**

**პრიმერადივიზიონი**
**XIX ტური**

**ატლეტიკო 3:0 ბილბაო**

1:0, 2:0 ტორესი (73, 82პ), 3:0 პაუნოვიჩი (90)

*იესტემ ვერ გაიტანა პენალტი (26, აცილა)*

**ატლეტიკო:** ხუანმა, გარსია კალვო, სერხი, ლეკი, გასპარი, დე ლოს სანტოსი, აგილერა, ნანო (მუსამპა 70), იბაგასა, ფ. ტორესი (პაუნოვიჩი 87), ნიკოლაიდისი (სიმეონე 79)

**მწვრთნელი:** გრეგორიო მანსანო

**ბილბაო:** არანსუბია, ა. კარანკა, ლუის პრიეტო, სესარი (იულენ გერერო 78), იესტე, გურპეგი, დელ ორნო, ხონანი (ესკერო 61), ტიკო, ურსაისი, არიაგა (ირაოლა 61)

**მწვრთნელი:** ერნესტო ვალვერდე

**გაფრთხილება:** იბაგასა, აგილერა, ლეკი, სესარი, იესტე, გარსია კალვო

**მსაჯი:** ტურიენსო ალვარესი

35 000 მაყურებელი

კვირას საღამოს „ვილიარეალმა“ „ვალიადოლიდს“ 3:1 რომ მოუგო, „ატლეტიკოსა“ და „ატლეტიკის“ თამაში რამდენიმე საათის მერე დაიწყო. ამით კი იმის აღნიშვნა გვსურს, რომ „ვილიარეალმა“ ცხრილის მეოთხე საფეხურზე მხოლოდ ამ რამდენიმე საათის განმავლობაში გაძლო და მეხუთეზე დაქვეითდა.

არადა, მადრიდის „ვისენტე კალდერონზე“ პირველ ტაიმში სულაც არ იგრძნობოდა, რომ დედაქალაქელები ბილბაოელ სეხნიებს, სახელი სწორედ ბასკური გუნდისგან ისესხეს, რაკი ბასკთა დაარსებული კლუბია) დაჯაბნიდა. მწირმომენტიან პირველ ტაიმში ერთადერთი უნაღდესი მომენტი სტუმრებს ჰქონდათ, მაგრამ რად გინდა — ისმაელ ურსაისის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ფრანსისკო იესტემ წააგდინა.

შესვენების მერე ერთხანს ისევ არაფერი იცვლებოდა, ბოლოსკენ კი ვინ, თუ არა ფერნანდო ტორესმა, აიწყვიტა. ყმაწვილმა ვუნდერკინდმა ჯერ ხარიხაზე გახახუნებით ანგარიში გახსნა, მერე კი პენალტით მეორე გაიტანა. თერთმეტმეტრიანი კი კისიტო მუსამპამ მოინადირა. მესამე გოლი, უკვე წამატებულ დროში შეცვლაზე შესულმა ველიკო პაუნოვიჩმა გაიტანა და როგორც თავშივე მოგახსენეთ, „ვილიარეალს“ მეოთხეობა ჩამოართვა.

**ბოტე ბებელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 19 | 13 | 4 | 2 | 36:14 | 43 |
| რეალი | 19 | 13 | 3 | 3 | 37:19 | 42 |
| დეპორტივო | 19 | 11 | 4 | 4 | 32:15 | 37 |
| ატლეტიკო | 19 | 9 | 4 | 6 | 25:22 | 31 |
| ვილიარეალი | 19 | 8 | 6 | 5 | 25:22 | 30 |
| ოსასუნა | 19 | 7 | 8 | 4 | 20:15 | 29 |
| ბარსელონა | 19 | 7 | 6 | 6 | 26:25 | 27 |
| ბილბაო | 19 | 7 | 5 | 7 | 23:23 | 26 |
| მალაგა | 19 | 8 | 2 | 9 | 24:25 | 26 |
| რასინგი | 19 | 7 | 5 | 7 | 24:26 | 26 |
| სევილია | 19 | 6 | 7 | 6 | 27:22 | 25 |
| ვალიადოლიდი | 19 | 6 | 7 | 6 | 23:26 | 25 |
| მალიორკა | 19 | 7 | 2 | 10 | 23:34 | 23 |
| ბეტისი | 19 | 5 | 7 | 7 | 24:22 | 22 |
| სოსიედადი | 19 | 5 | 6 | 8 | 19:29 | 21 |
| ალბასეტე | 19 | 6 | 2 | 11 | 21:25 | 20 |
| სელტა | 19 | 4 | 8 | 7 | 26:32 | 20 |
| სარაგოსა | 19 | 5 | 5 | 9 | 18:24 | 20 |
| ესპანიოლი | 19 | 4 | 2 | 13 | 15:33 | 14 |
| მურსია | 19 | 1 | 9 | 9 | 15:30 | 12 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 14 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 11 |
| მისტა (ვალენსია) | 10 |
| რაული (რეალი) | 9 |
| სალვა (მალაგა) | 9 |

# ბაჭია კარგი ბიჭია
## სავიოლას არაფერი ეშლება

*არგენტინელი ხავიერ სავიოლა „ბარსა“ — „სარაგოსას“ მე-19 ტურის საპრიმერო ჯახის პირველმეგოლე გახლდათ — „ბაჭიამ“ ვერაგი დარტყმით არაგონელთა მეკარე ლაინესი დაამწუხრა, ხოლო „კამპ ნოუს“ გუნდს საჭირო გამარჯვების სტიმული შესძინა — მასპინძლებმა ის შეხვედრა 3:0 მოიგეს. სავიოლა შეხვედრის პერიპეტიებითა თუ საკუთარი თამაშით ფრიად კმაყოფილი ჩანს და „ბარსას“ მომავალსაც იმედით შესცქერის. „ბაჭიას“ „ლიბრედირექტო“ ესაუბრა*

— „სარაგოსას“ დიდი ანგარიშით დამარცხება არცთუ ისე უმნიშვნელო ამბავია. აღმოჩნდა, რომ მეტოქეებისთვის „ბრჭყალის გაკვრა“ კრიზისში მყოფ „ბარსასაც“ შეუძლია...

— დიახ, ყველანი ბედნიერები ვიყავით „კამპ ნოუზე“ მოგებით. მოწინააღმდეგეს სამბურთიანი სხვაობით ვძლიეთ ისე, რომ მათ ერთის გატანაც ვერ მოახერხეს. ურიგო მატჩი ნამდვილად არ ჩაგვიტარებია.

— ქომაგები დიდი სიხარულით შეხვდნენ სავიოლას ფიესტას. კატალონიური ინჩადის მიმართ თქვენი თავდაპირველი შეხედულებანი ხომ არ შეცვლილა?

— ჩვენი ურთიერთობა ადრინდელის მსგავსია, ანუ ძალიან მეგობრული. ტრიბუნებიდან ყოველთვის მხარდაჭერას ვგრძნობ, რაც გოლების გასატანად ენერგიას არნახულად მიორმაგებს.

— ქომაგებს რაიკარდის გადაწყვეტილება არ მოეწონათ — მეორე ტაიმში მოედანზე თქვენს ნაცვლად სერხიო გარსია გამოჩნდა, რამაც სტადიონის უკმაყოფილება გამოიწვია.



— ინჩასები ცოტა სხვანაირად აზროვნებენ, ვიდრე ფრანკ რაიკარდი. თუმცა ამ შემთხვევაში მწვრთნელის გადაწყვეტილებას ვეთანხმები. გუნდის ნებისმიერ ფეხბურთელს მინდორზე თავის გამოჩენის შანსი უნდა მიეცეს.

— გუნდში ახალი ნახევარმცველი გადმოდის. ედგარ დავიდსის შესახებ რას გვეტყოდით?

— „ბარსა“ ყოველთვის გულღიად იღებდა იმ ბიჭებს, „კამპ ნოუზე“ ჩვენი გუნდის ღირსების დასაცავად რომ მოდიოდნენ. მჯერა, დავიდსის შემთხვევაშიც ასე იქნება. ჰოლანდიელი თავის საქმის მცოდნე დიდებული ოსტატია.

— ამისთვის მთელი შემადგენლობა დაძაბულად ვშრომობთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან, როგორც თქვენ აღნიშნავთ, დალხინებული ვითარება შორსაა, იმედი მაქვს, ეს სულელური გაუგებრობა მალე დამთავრდება.

# ზევიდან ზიდანი

## შენ ხარ ზიზუ და ყველაზე პოპულარული

*საფრანგეთის ყველაზე პოპულარული ადამიანი ზინედინ ზიდანი ყოფილა. ეს შედეგი ჟურნალ „დიუ დიმანშმა“ ტრადიციული გამოკითხვის პასუხად მიიღო. გამოკითხვას, რომელსაც ხსენებული გაზეთი ატარებს, „50 უპოპულარულესი ფრანგი“ ჰქვია და მას თავისი წესი და პრინციპი აქვს*



იგი ყოველწლიურად, წელიწადში ორჯერ, ცნობილი კვლევითი ინსტიტუტის ძალებით ტარდება, გამოკითხული ადამიანები 15 წელზე უფროსნი არიან, ხოლო მათი რაოდენობა ამ ჯერზე 1007 გახლდათ. რესპონდენტებს ურიგდებათ ათეულობით მოღვაწის გვარი, რომელთაგან მათ სიმპათიურები და ანტიპათიურები უნდა გამოჰყონ და დაახარისხონ.

ხსენებული რეფერენდუმი 1988 წლიდან ტარდება. ყველაზე ხშირად, კერძოდ კი ჩვიდმეტჯერ, უპოპულარულეს ფრანგად თანამემამულეებმა „ემმაუსის“ ფონდის დამაარსებელი, აბატი პიერი დაასახელეს. ამ ფონდის მიზანი უსახლკაროთა და ბოგანოთა მხარდაჭერა თუ დახმარებაა, ოღონდ 2003-ში ოთხმოცდაათ წელს გადაცილებულმა ბერმა სიიდან თავისი გვარის ამოღება ითხოვა და საყოველთაო აზრით, ამით სხვებს ფრიად გაუიოლა საქმე.

როგორც ზემოთ მოვახსენეთ, პირველ ადგილზე გავიდა ზინედინ ზიდანი, [illegible] და საფრანგეთის ნაკრების [illegible], [illegible] მიშელ სარდუს ერგო. სხვათა შორის, აქამდე სარდუ 50 კაცშიც კი არასდროს მოხვედრილა.

სპორტსმენებიდან ორმოცდაათეულში მოხვდა ცნობილი ძიუდოისტი დავიდ დუიეც. თან, უნდა ითქვას, რომ იგი სიის ზედა ნაწილში დამკვიდრდა, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მეკარე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ფაბიენ ბარტეზი მე-40 ადგილზე გავიდა.

და ნუ იფიქრებთ, რომ მე-40 ადგილი ცუდია, რადგან 48-ზე მსახიობი კატრინ დენევი მოხვდა, 38-ზე ალენ დელონი, ხოლო პრეზიდენტი ჟაკ შირაკი 42-ე გამოდგა.

**ბაბუნა ბედია**

# სამქსმანქანა



## დევიდს ვიკამ უმკურნალა

*მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი და ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექემი, რომელსაც მცირე ტრავმა აწუხებს, ამ დღეებში შინ, ლონდონში ბრძანდებოდა და პოპვარსკვლავ „პოშ“ მეუღლესთან, ვიქტორია ადამსთან ერთად ფრიად მოდურ რესტორან „ნობუში“ გახლდათ. რა თქმა უნდა, ძალიან ყვითელი ინგლისური პრესა პაპარაცების მობილური არმიით წყვილს გამოუდგა და საითაც წავიდა, კუდში სდია. დევნის შედეგები (ყოველ შემთხვევაში მისი ნაწილი) თქვენს წინაშეა: რესტორნიდან გამოსული ცოლ-ქმარი ვერცხლისფერ, მძღოლიან ლიმუზინში შეძვრა და ჩამუქებული ფანჯრების იმედით ისეთი მამაძაღლობა გააჩაღა, პორნოფილმების სიუჟეტებს ეუბნებოდა, თქვენ ჩადით, მე უნდა ამოვიდეო. მძღოლს, როგორც „ნიუ ოფ ზი უორდის“ ფურცლებიდან ვიგებთ, თავი არ გაუტოკებია, პაპარაცთა აპარატების ნათებამ კი ჩამუქებული შუშები იოლად დაძლია.*

**ირაკლი კუტუზიძე**





*გუშინდელ „სარბიელში“ ბუნდესლიგის ვარსკვლავების შემოსავლებსა და მათი გულთამპყრობელების ფუფუნებით ცხოვრებაზე მოგითხრეთ. დღეს კი BILD-ის მიხედვით მომზადებულ მასალას გთავაზობთ, რომელშიც „ჰამბურგის“ ჩეხი ვარსკვლავის, ტომაშ უიფალუშის მეგობარი გოგონას, კატარინას „ცხოვრებისეულ“ შეხედულებებს გაეცნობით*

# მე და არავინ ჩემს გარდა!

## კატარინამ ტომაშს საყვარლები დაავიწყა

— თქვენი მეგობარი საკმაოდ მალე გახდა ბუნდესლიგის ვარსკვლავი, თქვენ კი ბუნდესლიგაში მოთამაშე ფეხბურთელების ქალებს შორის ყველაზე სექსუალური...

— ძალიან მომწონს ყურადღების ცენტრში ყოფნა, განსაკუთრებით მსიამოვნებს, როცა ვგრძნობ უამრავი მამაკაცის ჩემსკენ მოპყრობილ მშიერ თვალებს. ამის არ მეშინია.

— ფეხბურთელები წელიწადში 200 დღეს შეკრებებსა და სხვადასხვა სასტუმროში ატარებენ, ისინი არც ლამაზი გოგონების უყურადღებობას უჩივიან...

— მთავარია, საკუთარ თავში იყო დარწმუნებული და უაზრო შიშს არ მიეცე, მე ვიცი ჩემი თავის ფასი და ისიც, რომ ტომაში ჩემზე უკეთესს ვერ იპოვის.

— ტომაში და თქვენ სად შეხვდით ერთმანეთს?

— ტომაშს პირველი ნახვისთანავე დავადგი თვალი. შეიძლება ითქვას, რომ ის ერთი ნახვითვე შემიყვარდა. როდესაც მისგან იგივე ვიგრძენი, ვუთხარია — მხოლოდ მე და არავინ ჩემს გარდა! ვიცი, რომ ტომაშს ჩემამდე შეიძლება 130-მდე საყვარელიც ჰყავდა, მაგრამ ეს წარსულს ჩაბარდა.

— რა ადგილი უკავია თქვენს ცხოვრებაში სექს?

— ძალიან დიდი, სექსი ურთიერთობების ყველაზე ლამაზი საკაზმია. მიმაჩნია, რომ ტომაში საოცრად სექსუალურია.

— მორწმუნე ხართ?

— ძალიან მინდა, რომ ვიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის არ გამომდის შესაბამისი წესების დაცვით ცხოვრება. ვატყობ, როდესაც მიჭირს, შველას მუდამ ღმერთს ვთხოვ. ეს არასწორია, ღმერთი მუდამ უნდა გვახსოვდეს და ისიც მუდამ ჩვენს გვერდით იქნება.

— თქვენი ცხოვრებისეული ინტერესები?

— ტომაშის გადამკიდე, ფეხბურთის დიდი მოყვარულიც გავხდი. გარდა ამისა, თავისუფალ დროს მიყვარს კინო, სეირნობა. თუმცა შინ ჯდომაც და სიმყუდროვეც მსიამოვნებს. ხომ გაგაკვირვეთ?




„ბოლონია“ ფაბიო პეკიას ამ გოლით დაწინაურდა

# დაცვა დაცვისა სწორია

**იტალია**

**სერია A. XVI ტური**

**ლეჩე 1:2 ბოლონია**

0:1 პეკია (13), 1:1 ბოჟინოვი (22), 1:2 ტარე (77)

**ლეჩე:** პოლეკსიჩი, სივილია, ბოვო, სტოვინი, აბრუცეზე (პელე 87), ტონეტო, კასეტი, ლედესმა, რულო (ვ. დალმა 79), კონანი (ჯაკომაცი 83), ბოჟინოვი

**მწვრთნელი:** დელიო როსი

**ბოლონია:** პალიუკა, ნატალი, ძანკი, ჟუარესი, ნერვო, ნაკატა, ლ. კოლუჩი, გულიელმინპიეტრო, პეკია (ლოკატელი 71), ბელუჩი (ტარე 64), სინიორი (ძაკარდო 75)

**მწვრთნელი:** კარლო მაცონე

**გაფრთხილება:** კოლუჩი, კასეტი, ტონეტო, ნატალი, გულიელმინპიეტრო

**მსაჯი:** პიერი

11 969 მაყურებელი

თითქოს „ლეჩეს“ შინ „ბოლონიასთან“ არ უნდა წაეგო, მაგრამ წააგო და ამიერიდან, ეტყობა, სერია A-ში დასარჩენად სერიოზული ბრძოლა მოუწევს. მასპინძლებს თავდამსხმელი, ხავიერ ერნესტო ჩევანტონი ერთი მატჩით ჰყავდათ დისკვალიფიცირებული და ამიტომ მოედანზე თინეიჯერული თავდასხმის გაყვანა მოუხდათ, ხოლო სტუმრებმა იაპონელ ჰიდეტოში ნაკატას დებიუტი წარმოგვიდგინეს. მოედანი გვარიანად ატალახებული გახლდათ, ხოლო თამაში ძალისმიერი გამოვიდა. პირველი რეალური საგოლე მომენტი მე-7 წუთზე ბოლონიელებს ჰქონდათ, კლაუდიო ბელუჩი ხელსაყრელ პოზიციაზე შევარდა, მაგრამ მეკარე ვალენტინ პოლეკსიჩმა დარტყმის კუთხე შეუვიწროვა. შემდეგ მეტ-ნაკლებად საზიფათო მდგომარეობა მასპინძელ აქსელ კონანს ჰქონდა, თუმცა პირველი გოლი მაინც „ბოლონიამ“ შეაგდო — ცუდად მოგერიებული ბურთი ბეპე სინიორიმ იხელთა, ფაბიო პეკია კი იქვე იყო და ვეტერანის წამოწყება დააგვირგვინა.

სხვათა შორის, ორივე გუნდის დაცვის შემყურე ძნელი არ იყო მიხვედრა, თუ რატომ არ არის ერთი ან მეორე ცხრილში უფრო ზევით: ანდრეს გულიელმინპიეტრომ მაქს ტონეტოს უბრალო პასი ვერ ჩაჭრა, რის გამოც სტუმრების საჯარიმოში მცირე ქაოსი შეიქმნა და ეს ქაოსი საბოლოოდ ვალერი ბოჟინოვის დაბალი დარტყმით და ანგარიშის გათანაბრებით დასრულდა.

მეორე ტაიმში ბოლონიელები საშინელი წნეხის ქვეშ მოექცნენ, რის გამოც კარლო მაცონემ სინიორი მოედნიდან გაიყვანა და შედეგად გუნდის განლაგება 4-4-1-1-ად გარდაიქმნა. ამან ჯადოქრული ეფექტი მოახდინა და ერთი წუთის შემდეგ ალბანელმა იგლი ტარემ ნაკატას პასით შედეგიანი და საბოლოო თავური დაჰკრა.

**ბაჩუნა ძიდია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 16 | 12 | 3 | 1 | 33:6 | 39 |
| მილანი | 15 | 11 | 3 | 1 | 27:8 | 36 |
| იუვენტუსი | 16 | 11 | 3 | 2 | 34:16 | 36 |
| ინტერი | 16 | 9 | 4 | 3 | 28:11 | 31 |
| პარმა | 16 | 9 | 3 | 4 | 25:18 | 30 |
| ლაციო | 16 | 9 | 1 | 6 | 24:20 | 28 |
| უდინეზე | 16 | 7 | 4 | 5 | 19:17 | 25 |
| სამპდორია | 16 | 6 | 6 | 4 | 19:17 | 24 |
| კიევო | 16 | 6 | 4 | 6 | 17:18 | 22 |
| ბრეშა | 16 | 4 | 7 | 5 | 26:28 | 19 |
| სიენა | 15 | 4 | 6 | 5 | 22:16 | 18 |
| ბოლონია | 16 | 4 | 5 | 7 | 16:23 | 17 |
| რეჯინა | 16 | 3 | 8 | 5 | 15:25 | 17 |
| მოდენა | 16 | 4 | 4 | 8 | 12:22 | 16 |
| პერუჯა | 16 | 0 | 9 | 7 | 19:31 | 9 |
| ლეჩე | 16 | 2 | 3 | 11 | 16:33 | 9 |
| ემპოლი | 16 | 2 | 3 | 11 | 10:30 | 9 |
| ანკონა | 16 | 0 | 4 | 12 | 7:30 | 4 |

# მანსინიმ რომა აღმოაჩინა
## მიზანი სერიოზულია, ჩხუბი არასერიოზული

„რომას“ აღმოჩენა ამანტინო მანსინი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდი სკუდეტოს მოსაგებად ყველა საჭირო იარაღით არის აღჭურვილი — „მილანთან“ დამარცხების შემდეგ ფაბიო კაპელოს შეგირდებმა პერუჯაში 1:0 გაიმარჯვეს და, როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, კურსს დაუბრუნდნენ.

„თუ ასეთი თავდადებით ბოლომდე მივყვებით, ჩემპიონატს ჩვენ მოვიგებთ — ამბობს გარემარბი — და მხოლოდ ამაზე ვფიქრობთ კიდეც. პერუჯაში მოპოვებულმა სამმა ქულამ თვითრწმენა დაგვიბრუნა. ბედნიერი ვარ, რომ გოლი მე გავიტანე, ბურთს მართლაც კარგად დავარტყი, გოლების ხშირად გატანა მართლაც დიდი სიამოვნებაა“.

შემდეგ ახალგაზრდა ვარსკვლავს მწვრთნელთან და თანაგუნდელ ანტონიო კასანოსთან ბოლოდროინდელ უსიამოვნებაზე ჰკითხეს.

„სერიოზული არაფერი მომხდარა — მიუგო მანსინიმ — ფეხბურთში ასეთები ხდება. კასანო კარგი ადამიანი და დიდებული ფეხბურთელია“.

კასანოსთან უსიამოვნება ასეთი გახლდათ: პარასკევს, ვარჯიშზე ისინი წაიჩხუბნენ, რის შედეგადაც კასანომ ჩაიცვა და იქაურობა დატოვა.

**ბაჩუნა ძიდია**




# გაუჩი სამართალს გააჩენს

*„პერუჯას“ პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი ხომ იცით? ხან ლიბიის დიქტატორის, მოამარ კადაფის ვაჟს, ალსაადის ყიდულობს და ხან გუნდში ერთი ქალი მოთამაშე უნდა რომ გაურიოს. ახლა იგი სასამართლოში ჩივილზე ალაპარაკდა, დარწმუნებული ვარ, ჩემი კლუბის წინააღმდეგ შეთქმულებააო. მოგეხსენებათ, ბოლო ტურში „პერუჯამ“ შინ „რომასთან“ წააგო 0:1 და აგერ უკვე 16 ტურია გამარჯვება რა არის არ იცის*



„საფეხბურთო ხელისუფლებას ზაფხულში მომხდარისთვის სურს ჩვენი დასჯა — უთხრა გაუჩიმ გაზეთ „ლა დომენიკა სპორტივას“ — მსაჯთა შეცდომების გამო ამ სეზონში 12 ქულა დავკარგეთ. თავის დაცვას განვაგრძობთ, საბუთებს შევაგროვებთ და შესაბამისი თანამდებობის ხალხს დავურიგებთ“.

გაუჩი დარწმუნებულია, რომ „პერუჯას“ სერია A-დან გაგდებას გასულ სეზონში „კატანიას“ გამო ამტყდარი ამბის გამო აპირებენ. გავიხსენოთ: სერია B-ს კლუბი, რომელიც ასევე გაუჩების ოჯახის საკუთრებაა, სასამართლოს გზით დარჩა თავის დივიზიონში და იმხელა რია-რია გამოიწვია, რომ ფეხბურთის შეფებს საბოლოოდ სერია B-ს 24 გუნდამდე გაზრდა მოუხდათ.

„ჩვენს სასარგებლოდ „რომას“ კარში აშკარაზე აშკარა პენალტი არ დანიშნეს და ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ჩემი ნათქვამების გამო ვისჯებით. ვშიშობ, გუნდის გაძლიერებასაც კი აღარ აქვს აზრი, თუმცა ამ გზას მაინც არ ვულალატებთ“ — თქვა გაუჩიმ და ისიც დასძინა, რომ „პერუჯას“ მწვრთნელს სერსე კოზმის თანამდებობიდან გათავისუფლება არ ემუქრება.

„გუნდი კარგად თამაშობს, ასე რომ, შედეგები მისი ბრალი არ არის“ — ბრძანა პრეზიდენტმა.

**ბაჩუნა ძიდია**

# რეპორტაჟი მიჰყავდა კარდინალ ბერტონეს

*გენუის ეპისკოპოსი, კარდინალი ტარჩიზიო ბერტონე კვირას „სამპდორიისა“ და „იუვენტუსის“ შეხვედრის პირველ ტაიმს არათუ დაესწრო, არამედ, ერთ-ერთ იტალიურ ტელეარხზე, ფაქტობრივად, რეპორტაჟიც წაიყვანა, თუმცა შესვენების შემდეგ საეკლესიო საქმეთა გამო იძულებული შეიქნა „სტადიო მარასის“ მოშორებოდა. მისი უწმინდესობა, საზოგადოდ, დიდ ქომაგად გახლავთ ცნობილი*



რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 054 | პორტ ვეილი-ბლეკპული | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 071 | ლინკოლნი-ჩელტენემი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 073 | მაკლსფილდი-როვერსი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **ინგლისი. თასი. III ეტაპი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23.30 | 271 | სკანთორპი-ბარნსლი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 23.45 | 272 | კოლჩესტერი-აკრინგტონი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 23.45 | 273 | როტერჰემი-ნორთჰემპტონი | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 23.45 | 274 | სტოკი-უიმბლდონი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 23.45 | 275 | ვულვერჰემპტონი-კიდერმინსტერი | 1,2 | 5,0 | 11,0 | 1 | 1,08 | 3,43 |
| 24.00 | 276 | ბოლტონი-ტრანმერი | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| 24.00 | 277 | რედინგი-პრესტონი | 2,3 | 3,2 | 2,8 | 1,33 | 1,26 | 1,49 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 278 | ჩელსი-უოტფორდი | 1,12 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,03 | 4,19 |
| 23.45 | 279 | ლესტერი-სიტი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| 23.45 | 280 | სკარბორო-საუთენდი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| | | **იტალია. თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 281 | უდინეზე-ინტერი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 21.00 | 282 | ლაციო-პარმა | 1,8 | 3,1 | 4,2 | 1,13 | 1,26 | 1,78 |
| 23.45 | 283 | მილანი-რომა | 2,05 | 3,0 | 3,5 | 1,21 | 1,29 | 1,61 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 284 | პერუჯა-იუვენტუსი | 4,0 | 3,0 | 1,9 | 1,71 | 1,28 | 1,16 |
| | | **ესპანეთი. თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 23.30 | 285 | რეალი-ეიბარი | 1,1 | 6,0 | 17,0 | 1 | 1,03 | 4,43 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 00.30 | 286 | ბარსელონა-ლევანტე | 1,25 | 4,8 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,13 |
| 23.00 | 287 | ბეტისი-სარაგოსა | 1,8 | 3,2 | 4,0 | 1,15 | 1,24 | 1,77 |
| 23.00 | 288 | სელტა-მალაგა | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| 00.30 | 289 | ოსასუნა-ვალენსია | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,41 | 1,24 | 1,35 |
| 23.00 | 290 | ვალიადოლიდი-ალავესი | 1,55 | 3,4 | 6,0 | 1,06 | 1,23 | 2,17 |
| | | **15 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 291 | დეპორტივო-ატლეტიკო | 1,65 | 3,3 | 5,0 | 1,1 | 1,24 | 1,98 |
| 24.00 | 292 | სევილია-ვილიარეალი | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,19 | 1,26 | 1,66 |
| | | **საფრანგეთი. თასი. 1/32 ფინალი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 293 | ნანსი-ლილი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **საფრანგეთი. ლიგის თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 294 | ლანსი-სოშო | 2,15 | 3,1 | 3,2 | 1,26 | 1,28 | 1,57 |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 19.05 | 295 | ლე მანი-ნანტი | 2,5 | 3,0 | 2,6 | 1,36 | 1,27 | 1,39 |
| 22.00 | 296 | გენიონი-ოსერი | 4,0 | 3,1 | 1,85 | 1,74 | 1,26 | 1,15 |
| 24.00 | 297 | სტ.ეტიენი-ნიცა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **პორტუგალია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **14 იანვარი** | | | | | | |
| 19.00 | 298 | რიუ ავე-პორტიმონენსე | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 19.00 | 299 | მარკუ-ნავალი | 2,8 | 3,1 | 2,35 | 1,47 | 1,27 | 1,33 |
| 19.00 | 300 | მორეირენსე-ბრაგა | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| 19.00 | 301 | ლეირია-ნასიონალი | 2,0 | 3,1 | 3,5 | 1,21 | 1,27 | 1,64 |
| 00.30 | 302 | ეშტორილი-სეტუბალი | 1,95 | 3,2 | 3,5 | 1,21 | 1,25 | 1,67 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 17.30 | 1001 | მაგნიტოგორსკი-სიბირი | 1,3 | 5,6 | 5,3 | 1,05 | 1,04 | 2,72 |
| 17.30 | 1002 | ს.იულაევი-ნეფტეხიმიკი | 1,55 | 5,0 | 3,5 | 1,18 | 1,07 | 2,05 |
| 18.30 | 1003 | ლადა-აკ ბარსი | 1,95 | 4,6 | 2,45 | 1,36 | 1,08 | 1,59 |
| 19.30 | 1004 | ლოკომოტივი-ავანგარდი | 1,7 | 5,0 | 2,9 | 1,26 | 1,07 | 1,83 |
| 19.30 | 1005 | ტორპედო-ხიმიკი | 2,4 | 4,6 | 2,0 | 1,57 | 1,09 | 1,39 |
| 19.30 | 1006 | სევერსტალი-ცსკა | 1,9 | 4,6 | 2,5 | 1,34 | 1,07 | 1,61 |
| 19.30 | 1007 | აკ-ამური | 1,6 | 5,0 | 3,3 | 1,21 | 1,07 | 1,98 |
| 20.00 | 1008 | დინამო-ნოვოკუზნეცკი | 1,45 | 5,3 | 4,0 | 1,13 | 1,06 | 2,27 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 20.30 | 1029 | პლზენი-ლიბერეცი | 1,75 | 4,2 | 3,1 | 1,23 | 1,11 | 1,78 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 20.00 | 1050 | მიკულაში-ნიტრა | 1,7 | 4,4 | 3,1 | 1,22 | 1,09 | 1,81 |
| 20.00 | 1051 | სკალიცა-ტრენჩინი | 2,6 | 4,0 | 1,95 | 1,57 | 1,11 | 1,31 |
| 20.00 | 1052 | მარტინი-ჟილინა | 2,2 | 4,0 | 2,3 | 1,41 | 1,12 | 1,46 |
| 20.00 | 1053 | კოშიცე-ზვოლენი | 2,0 | 4,0 | 2,5 | 1,33 | 1,11 | 1,53 |
| 20.30 | 1054 | სლოვანი-პოპრადი | 1,17 | 6,0 | 8,0 | 1 | 1,02 | 3,42 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 22.30 | 1070 | ჰამბურგი-აისბარენი | 2,05 | 4,2 | 2,45 | 1,37 | 1,11 | 1,54 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 22.30 | 1090 | ამბრი-ბაზელი | 1,3 | 5,3 | 5,6 | 1,04 | 1,05 | 2,72 |
| 22.30 | 1091 | დავოსი-ბერნი | 2,05 | 4,2 | 2,45 | 1,37 | 1,11 | 1,54 |
| 22.30 | 1092 | ლოზანა-კლოტენი | 2,1 | 4,4 | 2,35 | 1,42 | 1,1 | 1,53 |
| 22.30 | 1093 | ლუგანო-სერვეტი | 1,35 | 5,3 | 4,8 | 1,07 | 1,05 | 2,51 |
| 22.30 | 1094 | რაპერსვილი-ცუგი | 2,2 | 4,4 | 2,25 | 1,46 | 1,11 | 1,48 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 1095 | ლანგნაუ-ფრიბურგი | 2,25 | 4,4 | 2,2 | 1,48 | 1,11 | 1,46 |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **შვედეთი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 1113 | ტიმრე-ლულეო | 1,65 | 4,6 | 3,3 | 1,21 | 1,1 | 1,92 |
| 22.00 | 1114 | ჰვ 71-ბრიუნესი | 1,45 | 5,0 | 4,0 | 1,12 | 1,06 | 2,22 |
| 22.00 | 1115 | ფრიოლუნდა-მოდო | 1,25 | 6,0 | 6,0 | 1,03 | 1,03 | 3 |
| 22.00 | 1116 | მალმიო-იურგორდენი | 2,5 | 4,4 | 1,95 | 1,59 | 1,09 | 1,35 |
| 22.00 | 1117 | ფერიესტადი-სიოდერტელიე | 1,25 | 6,0 | 6,0 | 1,03 | 1,03 | 3 |
| 22.00 | 1118 | ლინჩიოპინგი-ლეკსანდი | 1,55 | 4,8 | 3,6 | 1,17 | 1,08 | 2,05 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 20.30 | 1125 | ჰაამეენლინა-ტურკუ | 2,2 | 4,6 | 2,2 | 1,48 | 1,1 | 1,48 |
| 20.30 | 1126 | იოკერიტი-ილვესი | 1,45 | 4,6 | 4,4 | 1,1 | 1,09 | 2,24 |
| 20.30 | 1127 | იუვესკიულე-ლუკო | 2,3 | 4,6 | 2,1 | 1,53 | 1,09 | 1,44 |
| 20.30 | 1128 | კერპეტი-ჰელსინკი | 1,7 | 4,6 | 3,1 | 1,24 | 1,09 | 1,85 |
| 20.30 | 1129 | ტაპარა-სეიპა | 1,5 | 5,0 | 3,8 | 1,15 | 1,07 | 2,15 |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **NHL** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 04.00 | 1149 | ბუფალო-ფილადელფია | 2,45 | 3,6 | 2,2 | 1,45 | 1,15 | 1,36 |
| 04.00 | 1150 | რეინჯერსი-აილენდერსი | 2,1 | 3,5 | 2,7 | 1,31 | 1,18 | 1,52 |
| 04.30 | 1151 | მონრეალი-სტ.ლუისი | 2,35 | 3,5 | 2,35 | 1,4 | 1,17 | 1,4 |
| 04.30 | 1152 | ნიუ ჯერსი-ოტავა | 2,2 | 3,5 | 2,5 | 1,35 | 1,17 | 1,45 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 1153 | პიტსბურგი-ტამპა ბეი | 2,9 | 3,8 | 1,9 | 1,64 | 1,14 | 1,26 |
| 04.30 | 1154 | ტორონტო-კალგარი | 1,9 | 3,6 | 3,0 | 1,24 | 1,16 | 1,63 |
| 05.00 | 1155 | ნეშვილი-ლოს ანჯელესი | 2,25 | 3,6 | 2,4 | 1,38 | 1,16 | 1,44 |
| 06.00 | 1156 | ედმონტონი-ფლორიდა | 1,9 | 3,6 | 3,0 | 1,24 | 1,16 | 1,63 |
| 06.00 | 1157 | კოლორადო-ანაჰაიმი | 1,6 | 4,0 | 4,0 | 1,14 | 1,14 | 2 |
| 06.00 | 1158 | ფინიქსი-ვანკუვერი | 2,35 | 3,5 | 2,35 | 1,4 | 1,17 | 1,4 |
| 07.30 | 1159 | სან ხოსე-დალასი | 2,15 | 3,5 | 2,6 | 1,33 | 1,17 | 1,49 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **13 იანვარი** | | | | | | |
| 04.00 | 1270 | ვაშინგტონი-ჰიუსტონი | 2,0 | 10,0 | 1,6 | 1,66 | 1 | 1,37 |
| 04.30 | 1271 | ატლანტა-სან ანტონიო | 2,8 | 10,0 | 1,3 | 2,18 | 1 | 1,15 |
| 05.00 | 1272 | ნიუ ორლეანი-მინესოტა | 1,75 | 10,0 | 1,85 | 1,48 | 1 | 1,56 |
| 05.00 | 1273 | მილუოკი-ბოსტონი | 1,55 | 10,0 | 2,1 | 1,34 | 1 | 1,73 |
| 05.30 | 1274 | ჩიკაგო-დეტროიტი | 2,2 | 10,0 | 1,5 | 1,8 | 1 | 1,3 |
| 06.00 | 1275 | ფინიქსი-დენვერი | 1,9 | 10,0 | 1,7 | 1,59 | 1 | 1,45 |
| 06.00 | 1276 | იუტა-გოლდენ სტეიტი | 1,2 | 10,0 | 3,5 | 1,07 | 1 | 2,59 |
| 07.00 | 1277 | საკრამენტო-მაიამი | 1,05 | 10,0 | 5,6 | 1 | 1 | 3,58 |
| 07.00 | 1278 | სიეტლი-კლივლენდი | 1,2 | 10,0 | 3,5 | 1,07 | 1 | 2,59 |
| 07.30 | 1279 | კლიპერსი-პორტლენდი | 1,55 | 10,0 | 2,1 | 1,34 | 1 | 1,73 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

17.01 16.30 6001 ინგლისი პლ (XXII) ............ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
17.01 21.00 6002 იტალია A (XVII) ............ 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9
17.01 22.30 6003 ესპანეთი Iდ (XX) ............ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9
17.01 20.15 6004 საფრანგეთი Iდ (XXI) ............ 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9
16.01 01.30 6005 პორტუგალია სლ (XVIII) ............ 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9
16.01 23.30 6006 ბელგია Iდ (XVIII) ............ 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# უქართველებოდ...
# სტეფანიამ შანსი გააფუჭა, ცქიტიშვილს არ აფუჭებინებენ

11 იანვარი

**ტორონტო 83:72 პორტლენდი**
ტორონტო: როუზი (17), უილიამსი (10), კარტერი (20), მარშალი (16), ბაქსტერი (10); პიტერსონი (9), არჩიბალდი (1), კარი
პორტლენდი: სტუდემაიერი (11), მაკინისი (20), ვუდსი (9), რენდოლფი (10), დევისი (15); პატერსონი (3), ანდერსონი (2), პერსონი (2), სტეფანია (13 წუთი, 0 ქულა)

**საკრამენტო 117:106 დენვერი**
საკრამენტო: ბიბი (18), კრისტი (11), სტოიაკოვიჩი (33), ბ. მილერი (14), დივაცი (8); ჯექსონი (16), მასენბურგი (14), პილერი (3)
დენვერი: ა. მილერი (30), ლენარდი (11), ენტონი (22), ნენე (20), კემბი (14); ბოიკინსი (6), ანდერსენი (2), ვაიტი (1), ელსონი, ტრეპანიე, ბოუენი
*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

**კლიპერსი 107:108 მემფისი**
ძირითადი დრო 100:100
კლიპერსი: იარიჩი (23), მეჯიტი (21)
მემფისი: სვიფტი (24), გასოლი (18)

**დეტროიტი 115:102 დალასი**
დეტროიტი: ბილაფსი (27), ეტკინსი (18)
დალასი: ნეში (18), დელკი (16)

**ჰიუსტონი 93:97 ბოსტონი**
ჰიუსტონი: ჯექსონი (26), ფრენსისი (19)
ბოსტონი: პირსი (27), მაკარტი (21), ველში (21)

ვლადიმერ სტეფანიამ პარასკევს სეზონის საუკეთესო მატჩი ითამაშა ჩიკაგოში, რითაც ჩვენც და ალბათ „პორტლენდის“ უფროსობასაც იმედი ჩაუსახა, თუმც ალ კაპონეს ქალაქიდან კანადურ ტორონტოში გადაფრენილი ქართველი ვერაფერს გახდა იქაურ „დინოზავრებთან“ და 13-წუთიანი უხეირო ბურთაობის შემდეგ მთლად თავაწეულმა ვერ დატოვა მოედანი.

არადა, ტორონტოელთა ძირითად ცენტრ კრის ბოშის არყოფნით პორტლენდელ მაღლებს ერთგვარი ავანსი ეპყრათ ხელთ, თუმც სამარქაფო ლონი ბაქსტონი არც ისე იოლად გასაცურებელი აღმოჩნდა.

სტეფანია თამაშში მალევე ჩაერთო, მაგრამ რად გინდა — პირველივე ბურთი აწაპნეს, მერე ორი სროლა გაუცუდდა და კარგა ხნით დაბრუნდა სათადარიგოებში.

არათუ სტეფანია, სხვა პორტლენდელებიც ვერ ვარგოდნენ, „მფრინავი“ ვინს კარტერის ამქარი გასაქანს არ აძლევდა მომხვდურებს. კარტერს ძალიან უნდოდა თავის გამოჩენა, რაკი წინა თამაშში „კლიპერსთან“ ჩაფლავდა და „პორტლენდთან“ ბრწყინვალედ ჩატარებული მატჩის შემდეგაც ამაზე ლაპარაკობდა.

„წინა შეხვედრაში თავი მოგვეჭრა. ამ მოედანზე „კლიპერსმა“ მოგვიგო და ეს გარემოება მაიძულებდა, არავინ და არაფერი დამეზოგა. ვცდილობდი, აგრესიულად და თან გონივრულად მეთამაშა, რაც, მგონი, გამომივიდა კიდეც.“

კარტერს რომ თამაში მისდის, „ტორონტოს“ რა უნდა გაუჭირდეს. ჰოდა, „პორტლენდიც“, სტუმრად წაგების „ოსტატი“, მეთოთხმეტედ შერცხვა მეთექვსმეტე გასვლით შეხვედრაში.

სტუმრად თამაშობდა ნიკა ცქიტიშვილის „დენვერიც“, ოღონდ კოლორადოელებს ერთობ სერიოზული მეტოქე, შინ ყველაზე უკეთ მობურთალი „საკრამენტო“ ჰყავდათ. ამის მიუხედავად, „ოქროს ზოდებმა“ დიდი ბრძოლა გააჩაღეს კალიფორნიაში, მთელი თამაში კუდზე ესხდნენ „მეფეებს“ და მხოლოდ თამაშის დასრულებამდე წუთით ადრე, საამსეზონოდ აბობოქრებული სნაიპერის პრედრაგ სტოიაკოვიჩის სამქულიანის შემდეგ დანებდნენ.

„საკრამენტო“ არა მხოლოდ შინ, საერთოდ კარგად თამაშობს და ჯერჯერობით ლიგასაც უსტაბაშობს. ამ ქალაქში კალათბურთის არნახული ბუმია. „საკრამენტო“ ზედიზედ მე-200 მატჩს ატარებდა პირთამდე გადაჭედილ, „არკო არენაში“. ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ შარშანდელი ბოგანო „დენვერის“ შექება გვსურს, რომელიც წლეულს ისე მომჯობინდა, სტუმართათვის ყველაზე ავბედით სარბიელზეც კი ძნელად მოსადრეკი გამხდარა.

„ეს დიდი გამარჯვებაა, მაგრამ მაინც უკმაყოფილო ვარ. დენვერელები იოლად არღვევდნენ ჩვენს დაცვას და მოგებაც შეეძლოთ. ეს გუნდი მართლაც იმსახურებს პლეიოფში თამაშს, მათი საქმე დღითი დღე წინ მიდის“ — მეტოქე შეაქო „მეფეთა“ ღვაწლიანმა მოძღვარმა რიკ ადელმანმა.

საკრამენტოში დატრიალებულ ამბებში ნიკა ცქიტიშვილის წვლილი არ მიუძღვის. 20 წლის ქართველი ვინ მოთვლის, მერამდენედ იყო სტატისტის როლში და მთელი თამაში სათადარიგო სკამზე გაატარა.

უჭირს დრაფტში ცქიტიშვილივით ხუთეულში, ოღონდ მე-2 ნომრად არჩეულ დარკო მილიჩიჩსაც. დეტროიტელთა ახალბედა ერთიორი წუთი თუ გავა მოედანზე, ისიც ინტრიგადაცლილ თამაშებში. სწორედ ასე იყო გუშინწინ. სერბი ახალბედა მაშინ გავიდა ფიცარნაგზე, როცა მისიანებს უკვე მოეთავებინათ „დალასისთვის“ საქმე.

ავტოქალაქელებმა დიდებულად ითამაშეს დასავლეთის ერთ-ერთ ამბიციურ გუნდთან და თუმც ამ სეზონში მეტოქეს პირველად ჩააგდებინეს 100 ქულა, საბოლოოდ მაინც მოდრიკეს მეტოქე და მიჯრით მერვედ იმარჯვეს. „დეტროიტს“ შანსი ჰქონდა, პირველი გუნდი გამხდარიყო ნბა-ს ისტორიაში, რომელსაც მიჯრით სამი მეტოქესთვის 70-ზე ნაკლები ქულა ჩაეგდებინებინა. „დალასამდე“ დეტროიტელებმა „ბოსტონს“ 68, „ჰიუსტონს“ კი 66 ქულა აკმარეს, თუმც „მავერიკსი“ არ აღმოჩნდა ასეთი ბეჩავი.

„დალასი“ სწორედ იმ იარაღით განიგმირა, რითაც თავადაა ცნობილი — ზონაში გამოკეტილ ტეხასელებს დეტროიტელებმა სამქულიანების სეტყვა დაატეხეს. მარტო ჩონსი ბილაფსმა 7-ჯერ იყოჩაღა შორიდან. „ისინი საკუთარ საჯარიმოს საგულდაგულოდ იცავდნენ, ალბათ, არ ეგონათ, სამქულიანების ჩაგდებაც თუ ვიცოდით — ამაყად ამბობდა დეტროიტელთა მწვრთნელი ლარი ბრაუნი — მაგრამ ჩონსიმ და ჩაკი ეტკინსმა შესაშური სიზუსტე გამოიჩინეს და ჩვენ დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ დიდ გუნდზე.“

„კლიპერსი“ „დალასთან“ ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ ლოს ანჯელესელების ძლევა მაინც დიდ გამარჯვებად ჩაეთვლებათ მემფისელ „დათვებს“, რაკი მათ ბოლო 8 გასვლითი მატჩი წაეგოთ და ძლივს გაიხარეს.

თამაში ისე დაიწყო, „დათვები“ ეგებ იმასაც ფიქრობდნენ, არ გავნადგურდეთო — მათმა ესპანელმა იმედმა პაუ გასოლმა ორ წუთში ორი ჯარიმა „გაახერხა“ და სათადარიგო სკამზე გადაჯდა. მის ნაცვლად გამოსულმა სტრომილ სვიფტმა კი გასოლობაც გასწია და ულიდერა კიდეც „მემფისს“. სვიფტმა 23 წუთში 24 ქულა ჩააგდო, თუმც გასოლის ავტორიტეტი იმხელაა, სტომილი მაინც არ გააჩერეს მოედანზე და მეორე ტაიმში ესპანელს მიანდეს „კლიპერსის“ ფარის დაშამათება.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა სტუმართათვის. „დათვები“ ძირითადი დროის დასრულებამდე ორი წუთით ადრე 98:88 ამარცხებდნენ „კლიპერსს“, მაგრამ კორი მეჯიტისა და მარკო იარიჩის „ფოკუსებით“ თამაში ოვერტაიმში გადავიდა. დამატებით დროში კი თითქოს ლოსანჯელესელებს უნდა ემარჯვათ, მაგრამ უკანასკნელ წამებზე შეინ ბეტიეს ლამის ცენტრიდან ნასროლი სამქულიანით „მემფისმა“ გასვლითი მატჩების უიღბლო სერია შეწყვიტა.

**ირაკლი პერტაია**


REUTERS

ვაი იმას, ვისაც ვინს კარტერი აღმაცერად შეხედავს

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 20 | 15 | 57,1 |
| ბოსტონი | 20 | 19 | 51,3 |
| ფილადელფია | 17 | 20 | 45,9 |
| მაიამი | 15 | 22 | 40,5 |
| ნიუ იორკი | 15 | 23 | 39,5 |
| ვაშინგტონი | 10 | 25 | 28,6 |
| ორლანდო | 9 | 28 | 24,3 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 28 | 11 | 71,8 |
| დეტროიტი | 24 | 13 | 64,9 |
| ნიუ ორლეანი | 22 | 15 | 59,5 |
| ტორონტო | 19 | 16 | 54,3 |
| მილუოკი | 20 | 17 | 54,1 |
| ჩიკაგო | 12 | 25 | 32,4 |
| კლივლენდი | 11 | 25 | 30,6 |
| ატლანტა | 10 | 28 | 26,3 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| სან ანტონიო | 17 | 10 | 63,0 |
| მინესოტა | 15 | 9 | 62,5 |
| დენვერი | 16 | 9 | 64,0 |
| დალასი | 15 | 9 | 62,5 |
| ჰიუსტონი | 14 | 10 | 58,3 |
| იუტა | 13 | 12 | 52,0 |
| მემფისი | 14 | 10 | 50,0 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 26 | 9 | 74,3 |
| ლეიკერსი | 22 | 11 | 66,7 |
| სიეტლი | 19 | 16 | 54,3 |
| პორტლენდი | 16 | 19 | 45,7 |
| კლიპერსი | 15 | 19 | 44,1 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 20 | 42,9 |
| ფინიქსი | 12 | 25 | 32,4 |




კარლოს მოია

TATA OPEN ჩენაი. ჰარდი. საპრიზო 380 ათასი $

## ნახევარფინალი

**კარლოს მოია (1, ესპანეთი) — სხენგ შალკენი (3, ჰოლანდია) 6:3, 6:4; პარადორნ შრიჩაფანი (2, ტაილანდი) — ტომი რობრედო (4, ესპანეთი) 1:6, 7:6 (12:10), 7:5**

## ფინალი

**მოია — შრიჩაფანი 6:4, 3:6, 7:6 (7:5)**

# მოიამ მეთხუთმეტე აიტატა

პარადორნ შრიჩაფანი ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული იყო და ტიტულთან შელევას, ცხადია, არც წლეულს აპირებდა. საამისოდ ის მართლაც კაცურად გაირჯა, ნახევარფინალში ესპანელ რობრედოს სულაც 6 მატჩბურთი მოუგერია და გადამწყვეტ შეხლასაც თითქოს ფავორიტის სტატუსით დაუხვდა.

მაგრამ თავის 31-ე ფინალში მოჩოგნავე კარლოს მოიამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მის წინააღმდეგ ასე ხელაღებით ფსონის ჩასვლა წინდაუხედავი ამბავია და საქმე რანგის მიხედვით მოამთავრა. ყველაფერი მესამე სეტის ტაიბრეიკზე გაირკვა, რომლის მსვლელობისას ტაილანდელი 5:3 იგებდა, მაგრამ ჩოგანი აუკანკალდა და მოიას ზედიზედ 4 ქულა აალებინა.

კარიერის მე-15 ტიტულთან ერთად დახვეწილ ესპანელს 52 ათასი დოლარი და 35 საჩემპიონთარბოლო ქულაც ერგო. შრიჩაფანი კი 30 ათასსა და 24 ქულას დაჰყაბულდა.

შეგახსენებთ, რომ მოიამ შარშან სამი ტიტული მოიხვეჭა, კიდევ ორ ფინალამდე გააღწია და სეზონის დამლევს ჰიუსტონურ რვაკაცა მასტერსთასზეც მოხვდა. პარადორნი კი ჯერაც ჩოგბურთის ეგზოტიკურ მსახიობად რჩება და თუმც ზეპურ მარაქაში ბოგანობს, ზორბა რამის მომგები მაინც არა ჩანს.

ძიუდო

# ხალიჩა მომენატრა

## ქევხიშვილს ხევიდან ამოსვლა უნდა



*დიდი ტრადიციის მქონე თბილისის ძიუდოს საერთაშორისო ტურნირს არაერთი ვარსკვლავი აღმოუჩენია და მათი შემდგომი გამარჯვებების დასაწყისადაც ქცეულა. ორი წლის წინ სპორტის სასახლეში შეკრებილი გულშემატკივარი დავით ქევხიშვილის ჭიდაობის განსაკუთრებულმა ლაზათმა აღაფრთოვანა. 18 წლის ყვარლელი მისთვის პირველ საერთაშორისო ტურნირზე ყველა მეტოქეს ისე გაუსწორდა და გაჩემპიონდა, მაშინვე მსოფლიოს უძლიერესთა შორის გარევა უწინასწარმეტყველეს. ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებებშიც ერთდროულად მოხვდა და ევროპული ოქრო-ვერცხლიც მოიგო. შარშანდელი სეზონი კი მისთვის საკმაოდ უიღბლო გამოდგა. მოსკოვის სალიცენზიო ტურნირისა და მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონობების გარდა თავი ვერაფრით გამოიჩინა. ბოლოს კი წარუმატებლობის სერიას მძიმე ტრავმაც დაერთო და ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად მიჩნეულმა ფალავანმა ეროვნულ გუნდში ადგილი დაკარგა*

— მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის წინ შეკრებაზე ნატკენმა მუხლმა ძალიან გამაწვალა. მართალია, იაპონიაში მაინც წავედი და გუნდთან ერთად ვერცხლიც მოვიგე, მაგრამ ტრავმა იმდენად მძიმე იყო, რომ ჯერ ოპერაცია, შემდეგ კი ორი თვე წოლა დამჭირდა.

**— წლის ბოლოს ჩატარებული საქართველოს ჩემპიონატიც ამიტომ გამოტოვე?**

— მაგ დროს მსუბუქი ვარჯიში უკვე დაწყებული მქონდა, მაგრამ საჭირო დატვირთვებისგან მაინც შორს ვიყავი.

**— ამჯერად როგორ ფიქრობ, მზად ხარ ხალიჩაზე გასასვლელად?**

— მართალია, უკვე სრულად ვიტვირთები და გუნდთან ერთად ვარჯიშის გარდა ინდივიდუალურადაც ვემზადები, მაგრამ ბოლომდე მოსამჯობინებლად ალბათ რამდენიმე კვირა კიდევ დამჭირდება.

**— ნაკრებში ადგილი ცუდ დროს დაკარგე. მთავარი სალიცენზიო ტურნირები ხომ ახლა იწყება.**

— იმედია, ეს დროებითია. ჩვეულ ფორმაში ჩასადგომად თავს არ დავზოგავ. ახლა მთავარია, ფიზიკურად მოვძლიერდე და დანარჩენი თავისით მოვა.

**— წლეულს პირველ სალიცენზიო ტურნირზე მოსკოვში რევაზიშვილი და ბოდაველი მიდიან. მათ შანსებს როგორ შეაფასებდი?**

— საერთოდ, დამკვიდრდა აზრი, რომ დღეისათვის საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი სუსტი წერტილი 73 კილოგრამია, თუმცა ოლიმპიური საგზურის მოპოვების შანსი რამდენიმეს გვაქვს და, ჩემი აზრით, შევძლებთ კიდეც.

**— სალიცენზიო ტურნირებში შენი მონაწილეობის შანსებზე უკვე ესაუბრე შოთა ხაბარელს?**

— ახალი წლის მერე პირადად არ მინახავს, თუმც როგორც ვიცი, მოსკოვის შემდგომ ტურნირზე, რომელიც პარიზში 7 თებერვალს დაიწყება, მეც წავალ.

**— ალბათ მოსკოვში უკეთესი შედეგის მიმღწევ თანაწონელთან ერთად?**

— შეიძლება, თუმც გამორიცხული არაა, სასაფრანგეთოდ არჩევანი ჩემზე და საქართველოს ვიცე-ჩემპიონ ხუციშვილზე შეაჩერონ. ძლიერი სპორტსმენია და შანსს ალბათ მასაც მისცემენ.

**— შენი აზრით, ლიცენზიის მოსაპოვებლად რა შედეგები იქნება საკმარისი?**

— წინ რამდენიმე სალიცენზიო ტურნირია. ალბათ, ერთი ტურნირის მოგება და მეორეზე საპრიზო ადგილიც იკმარებს. თან ცოტ-ცოტა ქულები შარშანდელიდანაც გადმოგვყვა. როგორც ვიცი, მომავალ საერთაშორისო შეჯიბრებებში ყველა კანდიდატს გამოსცდიან. ბოლო ტურნირზე, ევროპის ჩემპიონატზე კი იმას წაიყვანენ, ვინც თავს ყველაზე უკეთ წარმოაჩენს.

**— ევროპაზე სალიცენზიო ქულათა დარიცხვა კიდევ ხომ არ მოიმატებს?**

— რა თქმა უნდა. ჩემპიონი ათენის საგზურს ავტომატურად მიიღებს. მომდევნო ადგილებზე კი ქულათა დარიცხვა კიდევ ორჯერ გაიზრდება.

**— მაგრამ მასზე წარმატების მოპოვება განსაკუთრებით ძნელი იქნება...**

— ევროპის ჩემპიონატზე რთული ალბათ სალიცენზიო ტურნირები იქნება. მათზე თითქმის ყველა ქვეყანა ორ-ორი შემადგენლობით ჩავა და დაძაბულობა პიკს მიაღწევს. ბოლო წინასაოლიმპიადო შეჯიბრის წინ კი ძირითად ბირთვს ლიცენზია ჯიბეში ექნება და ზედმეტ დატვირთვასაც თავს აარიდებენ. იმედია, მანამდე ჩვენი ბედიც გადაწყდება. მაგრამ თუ ასე არ მოხდა, ძლიერ კონკურენტთა უმრავლესობა წინ აღარ დაგვიდგება. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ რუსმა, ფრანგმა, პორტუგალიელმა და მოლდოველმა მოჭიდავეებმა ლიცენზიის აღება შარშანვე მოახერხეს და ისინი ათენამდე არათუ ევროპაზე, სხვა სალიცენზიო ტურნირებზეც აღარ მოიკლავენ თავს.

**— უახლოეს ტურნირებში რომ რომელიმე შენმა კონკურენტმა ლიცენზია დაიბევოს, 81-ში ანაცვლებას ხომ არ გადაწყვეტ? ეს წონაც ხომ ერთ-ერთი სუსტია?**

— რეალურად რომ შევხედოთ, 81-ში ძალიან გამიჭირდება. მართალია, 73-ისთვის წონის დაკლება მიწევს ხოლმე, მაგრამ ისეთი აღნაგობა მაქვს, მაინც ყველაზე პატარა ვჩანვარ. წარმოიდგინეთ, ერთი წონით მაღლა რამდენით დიდებთან მომიწევს ჭიდაობა. ამიტომ უმთავრესი მიზანი ისევ ჩემს წონაში წარმატებაა.

**— ამხელა შესვენების შემდეგ ფსიქოლოგიურადაც ხომ არ გაგიჭირდება დაბრუნება?**

— ოთხ თვეზე მეტია, არავის დავჭიდებივარ და მართლაც ძნელი იქნება, მაგრამ ალბათ მალევე შევეჩვევი და ხალიჩას დანატრებული კარგადაც ავჭიდავდები.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ავტორბოლა

# სიტყვა და საქმეც

## ჰერ პეტერს თუ არ ულხინს, ხომ არც უჭირს

### ზაუბერი

გუნდი დაარსდა 1970 წელს
ფორმულა 1-ში ასპარეზობს 1993 წლიდან
179 რბოლა; 141 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი — IV ადგილი (2001)
2003 წელს დაიკავა VI ადგილი (19 ქულა)
პრეზიდენტი **პეტერ ზაუბერი**
ტექნიკური დირექტორი **ვილი რამპფი**
მთავარი მოტორისტი **ოსამუ გოტო**
ბოლიდი **„ზაუბერ C23“**
ძრავა **„პეტრონას 04A“**
საბურავები **„ბრიჯსტოუნი“**
ტესტ პილოტი **ნილ იანი**



ჯანკარლო ფიზიკელა

იტალია

დაიბადა 1973 წლის 14 იანვარს რომში
ცხოვრობს მონტე კარლოში
ცოლშვილიანი
სიმაღლე 172სმ; წონა 64კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (1996)
123 რბოლა; 1 მოგება; 1 პოული;
1 უსწრაფესი წრე; 94 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი —
მეექვსე ადგილი (2000)
2003 წელს — მე-12 ადგილი (12 ქულა)
ასპარეზობდა „მინარდიში“ (1996),
„ჯორდანში“ (1997, 2002, 2003),
„ბენეტონში“ (1998-2001)



ფელიპე მასა

ბრაზილია

დაიბადა 1981 წლის 25 აპრილს
სან პაულუში
ცხოვრობს სან პაულუში
უცოლო
სიმაღლე 166სმ; წონა 59კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (2002)
16 რბოლა; 4 ქულა
2002 წელს დაიკავა მე-13 ადგილი
2002 წელს ასპარეზობდა
„ზაუბერში“
2003 წელს იყო „ფერარის“
ტესტ-პილოტი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ყოველი** ჩემპიონატის წინ გვიწევს აღნიშვნა, რომ „ზაუბერი“, ისევე როგორც „ჯორდანი“ და „მინარდი“, მწირფონდიანი კერძო გუნდებია, რომელთა მატერიალურ-ტექნიკური გაქანებაც, უმთავრესად ბოსთა მარიფათზეა დამოკიდებული.

აბა რა იქნება, ბობოლა საჯინიბოების „ფერარის“ და „უილიამსის“ წლიური ბიუჯეტი 300 მილიონ დოლარს უკაკუნებს, პეტერ ზაუბერის შეძლება კი ოთხ-ხუთჯერ ნაკლებია. ისიცაა სათქმელი, რომ მართალია, ჰერ პეტერს ფული თავზე საყრელი არასდროს ჰქონია, მაგრამ სხვებივით არ დაჩანაკებულა და „სამეფო რბოლების“ ფსკერამდეც არასოდეს დაცემულა. 61 წლის ინჟინერ-ბიზნესმენი ავტოსამყაროში დიდად ავტორიტეტიანი პიროვნებაა და მეფულე პარტნიორებიც ულალატო კაცს უსიტყვოდ ენდობიან. მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელ ჩემპიონატში „ზაუბერმა“ წინასასეზონო საიმედო დაპირების მიუხედავად ერთი საფეხურით უკანაც კი დაიხია, საჯინიბოს ფინანსური პრობლემა მაინც არ გასჩენია. სპონსორები არ გამქრალან, მხოლოდ შეიცვალნენ, პეტერ ზაუბერს წლეულს ფულის ორი ახალი ტომარა ამოუდგა მხარში — „სოხნა პორტი“ და „ტაი კან ლაიფი“. პირველი ეგვიპტეში, კაიროდან 130 კილომეტრის დაშორებით მობინადრე ულტრათანამედროვე კორპორაციაა, მეორე კი ჩინეთის ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია გახლავთ, რომელიც წლიურად 2,6 მილიარდ დოლარს აბრუნებს.

ერთი სიტყვით, ჰერ პეტერს წელსაც თავი ქუდში აქვს. თანაც, ახალი ბოლიდის პრეზენტაცია გუშინ ავსტრიაში, ზალცბურგის აეროპორტში მოხდა იმიტომ, რომ იქაურია „ზაუბერის“ კიდევ ერთი სპონსორი, მატონიზირებელი სასმელების ფირმა „რედ ბული“, რომელსაც ფორმულასთან ლამის ათწლიანი თანამშრომლობა აკავშირებს.

რაც შეეხება შემადგენლობას, ზაუბერმა ორივე პილოტი — ნიკ ჰაიდფელდი და ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი გუნდიდან გაუშვა. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მათ ნაცვლად უკეთესი ტანდემი შეიძინა — ჯანკარლო ფიზიკელა, რომელიც ხვალ 31 წლის შესრულდება და მხოლოდ ერთ სეზონში ნარბოლი ფელიპე მასა მოხსნილ გერმანელ მძღოლებს ვერაფრით სჯობნიან. თუმცა, ბუნებრივია, დამდეგი ჩემპიონატის წინ ბოსიც და პილოტებიც რიხიანად აცხადებენ, ქომაგებს იმედებს არ გავუწბილებთო. ვნახოთ...

**გია ახალაძე**




„ზაუბერის“ პრეზენტაცია გუშინ ზალცბურგის აეროპორტში შედგა





ინგლისის ნაკრების მეოჯახე კაპიტანს მარტინ ჯონსონს (მარჯვენა ფოტოზე) ლოთი ექსკაპიტანი ლოურენს დალალიო შეცვლის

# ვარდების ევოლუცია

## ბებერი კაპიტანი ძველმა კაპიტანმა შეცვალა

**რაგბიში** მსოფლიოს ჩემპიონობა დიახაც საამაყო მიღწევაა, თუნდაც ამხელა იმპერიული ისტორიის და კონტინენტთა და ოკეანეთშორისი გამარჯვებების მქონე ინგლისისთვის — ანგლები აკი ყოჩაღ ამბობენ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ვართო და პირველ ჩემპიონობად, თავადაც მიხვდებით, 1966 წელს შინ საფეხბურთო ტრიუმფს თვლიან.

მაგრამ, მოგეხსენებათ, ყველაფერი გამონელებადია და მსოფლიოს ჩემპიონებიც ხვალინდელ დღეზე ფიქრს იწყებენ. ხვალ კი ინგლისელ „ვარდებს" ახალი საველე წინამძღოლი სჭირდებათ, ბებერმა გოლიათმა მარტინ ჯონსონმა გუშინ „სანდი ტაიმსს" განუცხადა, რომ 2004 წელს ექვს ერში აღარ უკაპიტნებს „ვარდებს" და საერთოდაც თავს დაანებებს სანაკრებო კარიერას. წყენა და მისთანები რა მოსატანია, უბრალოდ, ჯონსონი უკვე 33 წლისაა და ხვდება, რომ წასვლის დროც დამდგარა, უკეთეს დროს ვერც შეარჩევდა — ის დიდი სკიპერის სახელით მიდის შინ. სწორედაც შინ — „მივდივარ, რათა ოჯახს მეტი დრო მოვახმარო" — ამბობს ის.

ჯონსონი „ვარდების" შერკინებას 1993 წლიდან მოყოლებული 84 თამაშში ამაგრებდა და აქედან 39 მატჩში მოედანზე კაპიტნად გავიდა. ითამაშა სამ მსოფლიოს თასზე და ბოლო მოაგებინა კიდეც თვისტომებს. იგი პირველია, ვინც ავსტრალიაში ტრიუმფატორი 30 კაციდან ნაკრებს ოფიციალურად გამოეთხოვა.

„მსოფლიოს თასი ფანტასტიკური იყო, მაგრამ ახლა ეს განცდები წარსულშია. ჩვენ დიადი გუნდი შევქმენით, მაგრამ უნდა შევეგუოთ, რომ ის გუნდი აღარ შეიკრიბება" — ამბობს „ვარდების" მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი.

ეს ყველაფერი კარგი, ჯონსონს ტაშით გააცილებენ, მაგრამ მსოფლიოს და ექვსი ერის ჩემპიონებს კაპიტანი ხომ უნდათ. ნამდვილად უნდათ. ვუდვორდს ასარჩევი თითქოს ბლომად ჰყავს, მაგრამ გუნდს ისევ ძველ სკიპერ ლოურენს დალალიოს ჩააბარებს, რაკი სხვა კანდიდატებს მთლად საკაპიტნოდ არ „სცალიათ" — ჯონი უილკინსონი ლამის კრავივით უწყინარია, ფილ ვიკერი ხშირად ტრავმიანობს, ხოლო ნილ ბეკი დღეს-ხვალ ჯონსონის კვალს დაადგება. მართალია, არც დალალიოა ახალგაზრდა. აგერ 31 წლისა მოყრილა და კბენია ინგლისურ პრესას მისი შარშანწინდელი ნარკოგატაცებაც ახსოვს, თუმც „ვარდებს" ალბათ მაინც ძველი ლორი გაუძღვება მინდორზე.

„მინდა თუ არა კაპიტნობა კვლავ? — ამბობს დალალიო — რა თქმა უნდა, მინდა."

დალალომ 1997-99 წლებში 14 მატჩში უკაპიტნა „ვარდებს", მაგრამ ჟურნალისტებმა ისედაც ლოთში და შფოთში კოკაინის მყნოსავი კაცი ამოიცნეს და ისეთი ამბავი აუტეხეს, რის კაპიტნობა, დალალიო საერთოდ ამოვარდა ნაკრებიდან, მაგრამ მოინანია და აკი შეუნდეს კიდეც.

**ქოტე ყორშია**



# ვინც დაბრუნდა, გაუმარჯოს!

## მერიონ ჯონსმა ფეხი გაშალა

„მერიონ ჯონსი სარბენ ბილიკებს 6 თებერვალს, ნიუ იორკის თამაშებში დაუბრუნდება." აწარა როიტერს ამ თამაშების ორგანიზატორთაგანმა, ხოლო როიტერმა მსოფლიოს მოსდო ეს ამბავი. დაზუსტებით ვერ მოგახსენებთ, რამდენ მილიონს ეამა ეს ამბავი, მაგრამ ის კი ნაღდია, ამათ შორის არ არიან ქალი სპრინტერები, რომლებიც მერიონის არყოფნაში რაღაც-რაღაცეებს იგებდნენ, ახალა კი წარმატების შანსი გვარიანად შეუმცირდებათ.

ასევე მსოფლიოს უსწრაფეს კაცთან ტიმ მონტგომერისთან დამეგობრებულმა მსოფლიოს უსწრაფესმა ქალმა მერიონ ჯონსმა 2003 წელს მისგან ბავშვი გააჩინა, ვისაც მამის სახელი ეწოდა და ძუძუთა ტიმით ხელში მსოფლიო მძლეოსნობის პრიმადონას სირბილი არ გამოუდიოდა. მისი უქმობა წელიწადნახევარში ჩაეტია. ახლა კი, ოლიმპიურ წელს ის ვარჯიშს და სირბილს ეჩვევა და სიდნეის ოლიმპიადაზე ხუთი მედლის და აქედან სამი ოქროს მომხვეჭი ჯონსი ათენის თამაშებისთვის მზადებას და ახალ ოქროებზე ფიქრს იწყებს. ახლა ის კაიმანის კუნძულებზეა და მოდუნებულ შვლის ფეხებს ძველ მოქნილობას უბრუნებს.

**ქოტე ყორშია**



მერიონ ჯონსი სარბენ ბილიკებს უბრუნდება



### რეგულარული ჩემპიონატი

# ბუშემ გაუშვა, ვაშა ბუშეს

— 11 იანვარი —

**ჩიკაგო 4:5 კოლორადო**
*3:0 1:2 0:2 0:1*
1:0 ნიკოლი (6), 2:0 ბელი (19), 3:0 რუუტუ (19), 3:1 მური (26), 3:2 ჰეიდუკი (31), 4:2 ბელი (39), 4:3 ლაილსი (50), 4:4 სკრასტინში (54), 4:5 ტანგეი (64)

რა უპირატესობასაც არ უნდა ფლობდეს დღევანდელი „ჩიკაგო", მაინც ვერ დაიბევებს მოგებას. „კოლორადოსთან" თამაშში თითქოს ყველაფერი მასპინძელთა სასარგებლოდ მიდიოდა. მართალია, თანაბარი ბრძოლა იყო, მაგრამ საგოლე მომენტებს ისინი უკეთესად იყენებდნენ, ბოლო პერიოდში კი ჩვეულად მოეშვნენ და სტუმრებს გათანაბრების საშუალება მისცეს. ჩიკაგოელებს ოვერტაიმშიც მიეცათ მოგების საუცხოო შანსი, როდესაც კოლორადოელი ალექს ტანგეი სრულიად არასაჭიროდ დაჯარიმდა, მაგრამ „ქორებმა" რიცხვმრავლობაში ვერ ივარგეს. სამაგიეროდ, ტანგეიმ, როგორც კი ყინულზე დაბრუნდა, პეტერ ფორსბერგის გამოზომილი პასის შემდეგ მეტოქე დასაჯა.

**რეინჯერსი 1:2 ტამპა**
*1:1 0:0 0:0 0:1*
1:0 კოვალიოვი (5), 1:1 ბოილი (7), 1:2 კალიმორი (63)

უცნაური თამაში გამოდგა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მეტოქეები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ერთმანეთისთვის ხელი არ შეეშალათ გოლების გატანაში. მცველები ისე დასრიალებდნენ, გეგონებოდათ „ოლ სტარზე" არიანო, თან წესებს ხშირად არღვევდნენ და ფორვარდებს ერთობ უადვილებდნენ საქმეს. შედეგად უამრავი საგოლე მომენტი იქმნებოდა, მაგრამ შანსებსაც ასევე ფლანგავდა როგორც ერთი, ისე მეორე მხარე. დებიუტშივე გოლების გცვლის შემდეგ მოთამაშეებმა ლამის სამი პერიოდის განმავლობაში აწვალეს მაყურებელი და სტუმართა მცველმა მხოლოდ ოვერტაიმში დაუსვა წერტილი ამ უცნაურ შოუს.

**ვანკუვერი 2:2 ფლორიდა**
*0:1 0:1 2:0 0:0*
0:1 ბურე (20), 0:2 ბურე (39), 1:2 ოლუნდი (48), 2:2 ჰ. სედინი (54)

**ანაჰაიმი 2:2 კოლუმბუსი**
*0:0 1:1 1:1 0:0*
1:0 ვიშნევსკი (30), 1:1 ჟერდევი (37), 2:1 სიმპსონი (48), 2:2 ნეში (55)

თუ ნიკოლაი ჟერდევი ხშირად მიბაძავს რიკ ნეშის, „კოლუმბუსს" პრობლემები არ ექნება. მან ზედიზედ მეორე მატჩში გაიტანა და უკვე 25 გოლი დააგროვა. მისი თანატოლი ჟერდევი კი ეს-ესაა ეჩვევა ლიგას და მხოლოდ მეოთხედ გამოირჩა, შეგახსენებთ, რომ დეკემბერში რუსის სენსაციურმა გაქცევამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მის სამშობლოში. ქვეყნის ფედერაციის ხელმძღვანელები იმუქრებოდნენ და ულტიმატუმებს უყენებდნენ ნჰლ-ს, მაგრამ ხმაური თანდათან ჩაცხრა და ბოლო ხანს აღარც იხსენებენ „დეზერტირს". ეტყობა, ამ საქმეში იქაური მოხელეებიც ერივნენ.

**ფინიქსი 1:1 ატლანტა**
*0:1 0:0 1:0 0:0*
0:1 რობიტაილი (7), 1:1 ლენგკოუ (47)

5 საათი, 32 წუთი და 1 წამი — ამიერიდან ყველა მეკარემ ამ დროზე უნდა აიღოს ორიენტაცია. ზუსტად ამ ხნის განმავლობაში შეინახა ბრაიან ბუშემ საკუთარი კარი მშრალად, რაც ლიგის ახალი რეკორდი შეიქნა. ზედიზედ ხუთი შატაუტის შემდეგ, ცხადია, „ფინიქსის" ქომაგები გაგრძელებას ელოდნენ, მაგრამ რენდი რობიტაილმა მე-7 წუთზევე შეწყვიტა ბუშეს არაჩვეულებრივი მარათონი. თუმც მაინც არ შედრკა მეკარე და დარჩენილ დროში აღარ გააჭაჭანა შაიბა თავის კარში. „ბედნიერი ვარ, რომ ეს სერია დასრულდა. ცხადია, ამას არასდროს დავივიწყებ, მაგრამ მეორე მხრივ ერთობ დიდი ფსიქოლოგიური ტვირთი იყო" — ასეთი კომენტარი გააკეთა ბუშემ.

**კაროლინა 2:2 ოტავა**
*0:0 1:1 1:1 0:0*
0:1 ჰოსა (30), 1:1 სტაალი (36), 1:2 ჰოსა (49), 2:2 კოული (57)

**ვაშინგტონი 1:0 ედმონტონი**
*1:0 0:0 0:0*
1:0 ლანგი (20)



„ფინიქსის" მეკარემ ბრაიან ბუშემ ექვს თამაშში პირველი გოლი გაუშვა და გაუხარდა, ზეწოლა მომეხსნაო

# ფრენით

ფრენით გახერხებული თაჩდაუნი, ანუ დამიწება ამერიკული ბურთაობის ერთი ყველაზე მოხდენილი ხერხია. მისურიში ნაღდი პლეი ოფი გახურებულა და კანზას სიტის მრბენი პრისტ ჰოლმსი სწორედ რომ ფრენით ამიწებს ბურთს ინდიანაპოლისელთა ხაზს იქეთ.

REUTERS კანზას სიტიდან




REUTERS ვანკუვერიდან



# ნატაშა ტირის

ახლა ყველგან წინასაოლიმპიადო ტურნირებია გახურებული. გამარჯვებულები ათენს გაემგზავრებიან, იქ ვერ მოხვდება ესატირებული რუსის გოგო ნატაშა რომანოვა, რომელიც ბედმა პერუს ნაკრების მოთამაშედ აქცია, ამ პერუს ნაკრებმა კი საოლიმპიადო საგზური დომინიკელ გოგონებთან ბრძოლაში დათმო.

REUTERS ლიბერეციდან



# თოფი მხარზე

დამწკრივებულან მოტრამპლინე ბიჭები და დაბლა მიუყვებიან. დიდთოვლობამ შეჯიბრის დღე უქმედ გამოაცხადა: ჩეხურ ქალაქ ლიბერეცში კი ტრამპლინის მსოფლიო თასისთვის საბრძოლველად შეკრებილან.

# მილანის ზილიკზე

თუკი მილანში ხარ და ფეხბურთს თამაშობ, პოდიუმზე გავლაც უნდა შეგეძლოს, მოდისა და ფეხბურთის ქალაქში ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჰოდა, ინტერელები თომას ჰელვეგი და ჟერემი ბრეშე ზამთრის ჩვენებაში ჩაბმულან და დირკ ბიკემბერგის ზამთრის სამოსიც მოურგიათ.

REUTERS მილანიდან



REUTERS ედმონტონიდან



# ყირამალა სრიალი

აგერ, როგორ აყირამალა ტაილერ მაილსმა ტარა დოჰერტი ფიგურული სრიალის მოცეკვავეთა ფინალში, კანადის ეროვნულ ჩემპიონატზე ედმონტონში რომ მიმდინარეობდა. წყვილმა მეხუთე ადგილი დაიჭირა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge